# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№85 (9765) 2024 წლის 19 ივლისი. პარასკევი

ფასი 1 ლარი


## 26 ოქტომბრის არჩევნები უნდა იყოს ომის, ნგრევის და უსამშობლობის საბოლოო დამარცხების დღე!

3

## პარტიები — ჩქარა!

### 26 ოქტომბრის არჩევნებისთვის პარტიების რეგისტრაციის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

**დასრულდა საქართველოს პარლამენტის 26 ოქტომბრის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად იმ პოლიტიკური პარტიების სარეგისტრაციო განაცხადების მიღება, რომლებსაც არჩევნების დანიშვნის დროისთვის არ ჰყავთ მათი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრები.**

განაცხადების მიღების ვადა 15 ივლისს ამოიწურა. ცესკოს რეგისტრაციის მოთხოვნით 28 პოლიტიკურმა გაერთიანებამ მომართა, საიდანაც უკვე რეგისტრირებულია 9 პოლიტიკური პარტია, ხოლო რეგისტრაციის პროცედურებს გადის 19. საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად პარტია ვალდებულია პარტიის მხარდამჭერთა სიის ნიმუშის მიღებიდან 60 დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1 აგვისტოსი, ცესკოს წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის არჩევნებში პარტიის მონაწილეობის მხარდამჭერი არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის სია.

გარდა ზემოაღნიშნული პოლიტიკური პარტიებისა, 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ პარტიებს, რომლებიც აკმაყოფილებენ საარჩევნო კოდექსით დადგენილ პირობებს. კერძოდ კი, პარტიებს, რომლებიც რეგისტრირებული იყვნენ 2020 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნებზე და საქართველოს პარლამენტის არჩევნების დანიშვნის დროისათვის ჰყავთ მათი წარდგენით არჩეული პარლამენტის წევრები. აღნიშნულ მოთხოვნას კი, შემდეგი პარტიები აკმაყოფილებენ:

1. **„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“;**
2. **„ლელო საქართველოსთვის“;**
3. **„ახალი პოლიტიკური ცენტრი“ – „გირჩი“;**
4. **„ალეკო ელისაშვილი – მოქალაქეები“;**
5. **„ევროპული საქართველო – მოძრაობა თავისუფლებისთვის“;**
6. **„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;**
7. **„გიორგი ვაშაძე – სტრატეგია აღმაშენებელი“;**
8. **„კანონი და სამართალი“;**
9. **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“;**
10. **„საქართველოს ევროპელი დემოკრატები“;**
11. **„საქართველოს რესპუბლიკური პარტია“;**
12. **„მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“;**
13. **„პროგრესი და თავისუფლება“.**

აღნიშნულმა პარტიებმა, საქართველოს პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის უფლების მისაღებად, პარტიის ხელმძღვანელი პირის (პირების) მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადებით უნდა მიმართონ ცესკოს თავმჯდომარეს, არჩევნების დანიშვნის შემდეგ, არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 57-ე დღისა (30 აგვისტო).

## მართლა ვინამლებით?!




ერთ დღეს შეიძლება თბილისში ხალხი დაიწამლოს და ამაზეც იტყვიან მოულოდნელი იყო...

## როდის მოასწრო 21 წლის მიშიკო ჩხიკვიშვილმა მანიაკ მკვლელად ჩამოყალიბება?!

6

## აკაკი ჩხენკელი 150




საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია




## წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი 99 წლისაა**

საქართველოს რესპუბლიკა

NSA-ს კარგი თვალები აქვს!

№85. პარასკევი, 19 ივლისი, 2024 წელი



# გვიანია „ბორჯომის“ დალევა, თუკი ღვიძლი დაიშალა!..

## დავით ქართველიშვილი: აშშ-ის „ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ“ (NSA) მოიპოვა მტკიცებულება, რომელიც ბაიდენის გარემოცვას ტრამპის მკვლელობის მცდელობასთან აკავშირებს

*„ხალხის ძალის“ წევრი დავით ქართველიშვილი აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატ დონალდ ტრამპის მკვლელობის მცდელობის შესახებ დასავლურ მედიაში გავრცელებულ ახალ მასალებს სოციალურ ქსელში მიმოიხილავს.*

*როგორც დავით ქართველიშვილი წერს, ტრამპის მკვლელობის მცდელობაში ბაიდენის გარემოცვაც არის ეჭვმიტანილი, რაც, დამტკიცების შემთხვევაში, აშშ-ის მოქმედ პრეზიდენტს ძვირად დაუჯდება.*

„პრეზიდენტმა ბაიდენმა კოვიდით (მესამედ) დაინფიცირებაზე გააკეთა განცხადება. ამერიკელი ექსპერტების აზრით, ეს ძნელი დასაჯერებელია. თვლიან, რომ მას დაჭირდა ყალბი დიაგნოზი მას შემდეგ, რაც „ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ“ (NSA) მოიპოვა მტკიცებულება, რომელიც ბაიდენის გარემოცვას ტრამპის მკვლელობის მცდელობასთან აკავშირებდა. როგორც იძახიან, „ჯიუტი“ ბაიდენისთვის ეს არის უკვე უკანასკნელი არგუმენტი, რომელსაც შეუძლია დაარწმუნოს იგი, დატოვოს საარჩევნო კამპანია.

მაგრამ, ეს, ასევე, მთელი დემოკრატიული პარტიის კრახს ნიშნავს. ამ დღეებში კონგრესის სპიკერმა მაიკ ჯონსონმა განაცხადა კონგრესის დამოუკიდებელი საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე. ეს განცხადება გაკეთდა მაშინვე მას შემდეგ, რაც NSA-მ თავისი გამოძიების მონაცემები გაუგზავნა კონგრესის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტების ხელმძღვანელობას.

NSA-ს გააჩნია ნებისმიერი ტელეფონის მოსმენის შესაძლებლობა. NSA-ს დირექტორი პოლ ნაკასონე ამავდროულად არის CyberCom-ის (კიბერნეტიკული სარდლობის) ხელმძღვანელი.

NSA-ს ანგარიშში იყო რაღაც, რამაც აიძულა კონგრესი, არ ენდოს იმ საიდუმლო სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფდა ბაიდენის უსაფრთხოებას. სხვათა შორის, NSA-ს ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, მას შეუძლია აბონენტების მოსმენა მთელს მსოფლიოში, მათ შორის ევროპელი პოლიტიკოსებისა და სხვა ოფიციალური პირების, საიდუმლო სამსახურების ჩათვლით.

ამ ეტაპზე, აი, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება: თუ NSA-ს აქვს შეთქმულების უტყუარი მტკიცებულება, მაშინ რესპუბლიკელები ავტომატურად შეწყვეტენ „ორპარტიული კონსენსუსით” გათვალისწინებულ ყველა შეთანხმებას. ამ „ორპარტიული კონსენსუსის” გარშემო განხეთქილება შეიძლება ჩამოყალიბდეს უკვე აგვისტოში. ნენსი პელოსი და ჰილარი კლინტონი ცდილობენ, რაღაც „აგონიურ” მცდელობებს მიმართონ და უკვე მოაწერეს ხელი წერილს, რომელშიც ბაიდენს საარჩევნო კამპანიის დატოვებისკენ მოუწოდებენ. ყველა იმის მოლოდინშია, რომ ობამა და ბუში-უმცროსიც შეუერთდებიან ამ მოწოდებას. წერილს, ასევე, მოაწერეს ხელი რამდენიმე სენატორმა, კონგრესმენმა და CIA-ს და პენტაგონის ყოფილმა ხელმძღვანელებმა. ჩვენ კი მათ ცნობილ გამონათქვამს შევახსენებთ: „გვიანია „ბორჯომის“ დალევა, თუკი ღვიძლი დაიშალა“. – წერს დავით ქართველიშვილი.



# ირაკლი კობახიძე ევროპის პოლიტიკური გაერთიანების სამიტში მონაწილეობს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე ევროპის პოლიტიკური გაერთიანების სამიტში მონაწილეობს, რომელიც გაერთიანებულ სამეფოში იმართება.

50-მდე ქვეყნის ლიდერს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი კირ სტარმერი ქალაქ ვუდსტოკში, ბლენჰაიმის სასახლეში მასპინძლობს.

პრემიერი სამიტის ფარგლებში დაგეგმილ პანელურ დისკუსიაში მიიღებს მონაწილეობას, რომლის მთავარი თემაა ენერგეტიკა და დაკავშირებადობა.

ირაკლი კობახიძე იმ განსაკუთრებულ როლზე გაამახვილებს ყურადღებას, რომლის შესრულება საქართველოს დაკავშირებადობის კუთხით შეუძლია.

„ჩვენს ევროპელ კოლეგებს გავუზიარებთ გზავნილებს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ ვხედავთ საქართველოს როლს. საქართველოს შეუძლია ევროპისთვის განსაკუთრებული როლის შესრულება დაკავშირებადობის კუთხით და სწორედ ამაზე გვექნება მსჯელობა ევროპელ კოლეგებთან. დღესაც გვაქვს არაერთი მიმდინარე პროექტი, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებას, მათ შორის შუა დერეფნის ინიციატივის ფარგლებში ჩვენი ფუნქციის განვითარებას, რაც ევროპისა და შავი ზღვის რეგიონისთვის ძალიან საინტერესო იქნება. ევროპელ პარტნიორებთან საუბარი გვექნება კონკრეტულ პროექტებზეც“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა და აღნიშნა, რომ კოლეგებთან კომუნიკაციისას საუბრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა იქნება ევროკავშირის გაფართოება.

ევროპის პოლიტიკური გაერთიანების სამიტზე განსახილველ საკითხებს შორისაა უკრაინაში მიმდინარე მოვლენები და არალეგალური მიგრაცია. სამიტის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია თემატური დისკუსიები.



# დონალდ ტრამპი: არ მიყვარს სანქციები, სანქციებით ყველას ვიშორებთ, ვინც გვიახლოვდება

**აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ სანქციების დაწესების მომხრე არ არის. ამის შესახებ მან Bloomberg-თან ინტერვიუში განაცხადა.**

ტრამპს ჰკითხეს, ფიქრობს თუ არა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების შემსუბუქებაზე უკრაინაში ომის დასრულების „შეთანხმების“ ფარგლებში, რომლის მიღწევასაც გეგმავს, რასაც ტრამპმა დადებითი პასუხი გასცა.

„სანქციებით ყველას ვიშორებთ, ვინც გვიახლოვდება, ამიტომაც არ მიყვარს სანქციები. მე ვფიქრობდი, რომ ისინი ძალიან სასარგებლო იყო ირანთან მიმართებით, მაგრამ ირანთან სანქციებიც ასე ძლიერად არ მჭირდებოდა“, – განაცხადა ტრამპმა.

# დავით ჩიხელიძე: „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პირობებში ბიზნესის რეკეტი და ქონების იძულებით ჩამორთმევა ნორმირებული ქმედება იყო!



**აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში პირდაპირ წერია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პირობებში ბიზნესის რეკეტი და ქონების იძულებით ჩამორთმევა ნორმირებული ქმედება იყო. დიახ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შექმნა ძალადობრივი სისტემა, რომელმაც მოკლა ბიზნესი (არაფერს ვამბობ ახალგაზრდებზე) და გააღარიბა ადამიანები, – ამის შესახებ ექსპერტი დავით ჩიხელიძე სოციალურ ქსელში წერს.**

**– აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში პირდაპირ წერია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პირობებში ბიზნესის რეკეტი და ქონების იძულებით ჩამორთმევა ნორმირებული ქმედება იყო.**

დიახ, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ შექმნა ძალადობრივი სისტემა, რომელმაც მოკლა ბიზნესი (არაფერს ვამბობ ახალგაზრდებზე) და გააღარიბა ადამიანები, დღეს კი სრულიად საპირისპირო სურათი გვაქვს, ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლა არის, ბოლო რამდენიმე წელია ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს, რაც ევროპისთვის უპრეცედენტო შედეგია.

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში ხაზგასმით წერია, რომ საქართველოში ბიზნესისა და ინვესტიციების მხრივ პირობები კარგია, სხვა რეგიონულ ქვეყნებთან შედარებით, საქართველო ხელსაყრელია, როგორც ბიზნესის კეთების კარგი ადგილი რეგიონში, ქვეყანა მაღალ საფეხურზეა, ანგარიშში ასევე დადებითად არის მოხსენიებული ანაკლიის პორტის და თბილისის ახალი აეროპორტის აშენების საკითხი, რომელიც ინვესტორებისთვის ახალ შესაძლებლობებს იძლევა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის გაცნობის შემდეგ, გაუგებარი ხდება, ცალკეული სპიკერების მიერ საქართველოს კრიტიკა, რაც პერსონალური შეხედულებაა და არა ვაშინგტონის ოფიციალური პოზიცია. – წერს ჩიხელიძე.

# გიორგი გაბიტაშვილი ახალი გენერალური პროკურორია



**საქართველოს პარლამენტმა 6 წლის ვადით გენერალურ პროკურორად გიორგი გაბიტაშვილი დაამტკიცა.**

80 მომხრე, არც-ერთი წინააღმდეგი – საქართველოს პარლამენტმა გენერალური პროკურორობის თანამდებობაზე წარდგენილ გიორგი გაბიტაშვილის კანდიდატურას მხარი დაუჭირა.

კენჭისყრა გუშინ გამართულ რიგგარეშე სხდომაზე გაიმართა, მანამდე კი გიორგი გაბიტაშვილს იურიდიულ საკითხთა კომიტეტზე მოუსმინეს.

გიორგი გაბიტაშვილის კანდიდატურა პარლამენტს საპროკურორო საბჭომ წარუდგინა.

# შალვა პაპუაშვილი: 26 ოქტომბრის არჩევნები უნდა იყოს ომის, ნგრევის და უსამშობლობის საბოლოო დამარცხების დღე!



**ყველა ქვეყანამ თავისი უნიკალური გზა გაიარა ევროკავშირისკენ, იმიტომ რომ ყველა თავისი უნიკალური ისტორიული გამოცდილებით, მომავლის ხედვით და ფუნქციით შედის ამ კავშირში. დღესაც ვხედავთ, რომ ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე ქვეყნები სხვადასხვა გამოცდილებას, გამოცდას, განსაცდელსაც კი გადიან. — ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანიისა და ახალი ცენტრალური ოფისის გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.**

„ქართველმა ხალხმა მკაფიოდ თქვა, რა არის მისი ევროპული გზა.

პირველი, ეს არის ევროპა. ჩვენ, როგორც ევროპული ცივილიზაციის თანაშემოქმედები, თავად ვართ ევროპა. ამ მხრივ ჩვენი ევროპული გზა ნიშნავს ქართული, ანუ ევროპული კულტურის, ტრადიციების და ღირებულებების შენარჩუნებას და მათ განვითარებაში თანამონაწილეობას.

მეორე, ეს არის ევროკავშირი როგორც ევროპელ ხალხთა გაერთიანება. ჩვენ არ ვესწრაფვით მხოლოდ და ოღონდ წევრობას, ჩვენ გვინდა წელგამართული შევიდეთ ამ ერთა კავშირში, როგორც თანასწორი თანასწორთა შორის. შევიდეთ ჩვენი უნიკალური როლით, ჩვენი ეროვნული ფუნქციით, რომელიც, სამწუხაროდ, არაერთხელ დაგვიკარგავს. ჩვენ გვინდა გავამდიდროთ და გავაძლიეროთ ევროკავშირი კულტურულად და ეკონომიკურად და არა უბრალოდ შევუერთდეთ მას.

ჩვენი თითოეული ნაბიჯის, ქვეყნის ევროპული გზის, კეთილდღეობისა და მშვიდობისთვის ძალისხმევის მთავარი შემფასებელი არის არა სხვა რომელიმე დედაქალაქი თუ უცხოელი პოლიტიკოსი, არამედ არიან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ხედავენ და აფასებენ ჩვენი გუნდის ერთგულებას სამშობლოსა და თითოეული ადამიანისადმი.

ამიტომ არის, რომ ჩვენ ამ არჩევნებში კონკურენტი არ გვყავს, ვინაიდან ომი მშვიდობის კონკურენტი ვერ იქნება, ისევე როგორც უიმედობა — კეთილდღეობის, ნგრევა — აღმშენებლობის, უსამშობლობა - პატრიოტიზმის.

ამიტომ, 26 ოქტომბრის არჩევნები უნდა იყოს არა უბრალოდ მშვიდობის, ღირსების, კეთილდღეობის, ანუ ჭეშმარიტი „ქართული ოცნების“ გამარჯვება, არამედ ეს უნდა იყოს ომის, ნგრევის და უსამშობლობის საბოლოო დამარცხების დღე.

**გვჯერა გამარჯვების!**

**თქვენით, თქვენთვის და თქვენთან ერთად!**

**მხოლოდ მშვიდობით, მხოლოდ ღირსებით, მხოლოდ კეთილდღეობით ევროპისკენ! — დასძინა შალვა პაპუაშვილმა.**



## ოპოზიციაში იციან, რომ არჩევნებით ვერ მობრუნდებიან და საარჩევნო პროგრამები და თავის ატკიება რად უნდათ?!

# ხავსს შეჭიდებულნი...

**მას შემდეგ, რაც დასავლეთსა და „ქართულ ოცნებას“ შორის დაპირისპირება კიდევ უფირ გაღრმავდა, ოპოზიციამ მთელი საარჩევნო კამპანია და სტრატეგია საგარეო ვექტორზე ააწყო. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებამდე 4 თვეზე ნაკლები დარჩა, ოპოზიციას ამომრჩევლისთვის არც ალტერნატიული ცენტრები შეუთავაზებია და არც საარჩევნო გეგმა წარუდგენია. ანალიტიკოსები ამბობენ, რომ ელექტორატის განწყობების კაპიტალიზაციისთვის ოპოზიციურ ძალებს მუშაობა სჭირდებათ, რაზეც ისინი უარს აცხადებენ, ფაქტობრივად, არ მუშაობენ. ისინი მხოლოდ საგარეო ვეტქორს არიან ჩაბღაუჭებულნი და მხოლოდ ამ რიტორიკით ცდილობენ ხელისუფლების დისკრედიტაციას. თავის მხრივ „ოცნება“ საზოგადოებისთვის ახერხებს იმის ჩვენებას, რომ, რადგან წინ ქვეყნის და ხალხის ინტერესებს აყენებს, ცდილობს საკუთარი ქვეყნის სახელმწიფოებრივობის დაცვას, ამის გამო დასავლეთი სჯის.**

ოპოზიციური პარტიები კი ერთგვარ ვირტუალურ პარტიებად იქცნენ, რომელთა ლიდერებსაც მიაჩნიათ, რომ „ტიკ-ტოკში“ ან მათთან აფილირებულ მედიაში აქტიურობა წარმატებისთვის საკმარისია. არადა, ამომრჩეველი პირდაპირ დიალოგს ითხოვს. ოპოზიციას კი ხალხის მაგივრად მოლოდინი დასავლეთიდან აქვს და ფიქრობენ, რომ თუკი მათი მხარდაჭერა ექნებათ, ხალხზე ზეგავლენასაც მოახდენენ.

**„რეალური მოცემულობა, დაახლოებით 1 თვის წინ იყო ასეთი, რაც ყველამ იცოდა, რომ „ნაცმოძრაობის“ გარდა ვერც ერთი პოლიტიკური პარტია ვერ ლახავდა საარჩევნო ბარიერს. ასეთ პირობებში ისინი რომ ცდილობენ შერწყმას, ეს არის ლოგიკური. მათი ერთადერთი ამოცანაა, რომ რამენაირად ბარიერი გადალახონ. ამ პროცესში, ისინი არ ერიდებიან ისეთ პარტიებთან გაერთიანებასაც კი, ვისაც უშვერი სიტყვებით მოიხსენიებდნენ წარსულში. ეს მათი უპრინციპობის გამოვლინებაა და მათი საქმეა, ეს არ არის ჩვენი საქმე. ჩვენთვის მთავარია, რომ დღევანდელი მოცემულობით, დაახლოებით, 60%-ია ჩვენი რეიტინგი, ასეთ ვითარებაში, როგორც არ უნდა დაჯგუფდეს, თუ გადაჯგუფდეს ოპოზიცია, რა თქმა უნდა, ჩვენს გამარჯვებას ვერავითარი საფრთხე ვერ შეექმნება“,** — განაცხადა პრემიერმა **ირაკლი კობახიძემ.**

მისი თქმით, უცხო ძალებს ავიწყდებათ ერთი რამ — საკუთარ ქვეყნებში მათივე პოლიტიკის წინააღმდეგ შექმნილ პრობლემებს ხედავს ქართველი ხალხი და დასკვნებიც შესაბამისი გამოაქვს.

„პოლიტიკურ დეპეშებს ამერიკიდან თუ მათივე მიმდევარი ევროპელი ლიდერებისგან ბოლო არ უჩანს. ბუნებრივია, ეს გაგრძელდება არჩევნებამდე, რათა ბოლომდე დააჯერონ პროდასავლურად მოაზროვნე საზოგადოება და რაც მთავარია, მაქსიმალურად გააღიზიანონ ახალგაზრდობა, რომ „ოცნების“ პირობებში ევროკავშირის გზა ჩაკეტილია. თუმცა, ავიწყდებათ ერთი რამ - საკუთარ ქვეყნებში მათივე პოლიტიკის წინააღმდეგ შექმნილ პრობლემებს ხედავს ქართველი ხალხი და დასკვნებიც შესაბამისი გამოაქვს.

**აქედან გამომდინარე, მსურს, ვუპასუხო ქალბატონ პრეზიდენტს: აღარც თქვენი და აღარც თქვენი პატრონების შანტაჟის ენა აღარ ჭრის საქართველოში. ხომ ხედავთ, სულ არ ადარდებს ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს თქვენი დამღუპველი ლიბერალური პოლიტიკა. ხალხმა გაიღვიძა მწარე რეალობაში და მათ მიძინებას ვედ- არავინ შეძლებს“,** — წერს სოციალურ ქსელში „ხალხის ძალის“ წევრი, ანალიტიკოსი **თამარ ჩიბურდანიძე.**

**ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე** for.ge-სთან ამბობს, რომ ოპოზიციამ როგორც კი დაინახა, რომ დასავლეთიდან „ოცნებაზე“ ზეწოლა დაიწყო, მისი წინასაარჩევნო პროპაგანდა ისევ საგარეო კურსი გახდა. არადა, კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ, ერთი პერიოდი ოპოზიცია სოციალური თემების წინ წამოწევას ცდილობდა, თუმცა მალევე შეწყვიტეს.



**„ოპოზიცია ხედავს, რომ ეს თემა ამ ეტაპზე მომგებიანია, მით უმეტეს იმ ფონზე, როცა დასავლეთიდან ეს განცხადებები არ წყდება და ლამის, ყოველდღიურ სახეს იღებს. ეს ლოგიკურიც არის, რომ ოპოზიცია ამ თემას ჩაებღაუჭებოდა. ყველამ კარგად იცის, რომ დღეს ჩვენი ოპოზიცია საკმაოდ სუსტია და მისი პრობლემა სწორედ იმაშია, რომ საზოგადოებასთან არა აქვთ დიალოგი. თუმცა ამ მხრივ „ნაციონალებს“ და „ოცნებას“ პრობლემა მოხსნილი აქვთ.**

**მათ რაც არ უნდა ისაუბრონ, ილაპარაკონ, ამომრჩეველი მაინც ჰყავთ, ამიტომ თავი ქუდში აქვთ. მათთვის ეს სიტუაცია ჩვეულებრივი ამბავია. აი, დანარჩენი ოპოზიცია, რომელიც ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბებულა, რა თქმა უნდა, ცუდ დღეშია. საგარეო ვექტორი მხოლოდ ვერ იქნება ე.წ. ჩამოუყალიბებელი ამომრჩევლის მიზიდვის საშუალება. ასეთი ამომრჩეველი ძალიან ბევრ რამეს აქცევს ყურადღებას და ქვეყნის შიდა პრობლემების მოგვარება აინტერესებს — მაგალითად, ფასები და ხელფასების ზრდა, პენსიების მომატება, დასაქმების პრობლემები. სოფლებში ათასი პრობლემები არსებობს, ასევე - ახალგაზრდების უმუშევრობა და სტუდენტური გადასახადების პრობლემები, ეს ყველაფერი ამომრჩეველს აინტერესებს. როცა ამაზე არ საუბრობს ოპოზიცია, ეს აშინებს ხალხს. ამიტომ არის, რომ სექტემბრიდან უკვე უნდა გამოიკვეთოს ბოლოს და ბოლოს ვინ ვისთან ჯგუფდება და დაიწყონ საზოგადოებისთვის პროგრამების გაცნობა. სხვაგვარად მხოლოდ დასავლეთიდან წამოსული დახმარება მათ არ უშველის“,** — ამბობს ძაბირაძე.

**ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე** კი მიიჩნევს, რომ ოპოზიციას ამომრჩევლისთვის სათქმელი არაფერი აქვს. სიტუაცია იმდენად მძიმეა, რომ ხალხთან გასვლას და საუბარსაც ვერ ახერხებენ. ამიტომ ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ოპოზიცია მხოლოდ დასავლეთის იმედად არის.



**„იმდენად არიან პოლიტიკურად გაკოტრებულები, რომ წინასაარჩევნოდ საზოგადოებაში გამოჩენასაც ვერ ბედავენ. სადღაც ორ, სამ თავიანთ მხარდამჭერს, შინაურს მოძებნიან, დადგებიან იქ, ვითომ ხალხს ხვდებიან. ხალხმა რაც უქნა, მაისის აქციებზე ვნახეთ — როგორ უშტვენდნენ ხაზარაძეს, გვარამიას, ვაშაძე როგორ გააგდეს ახალგაზრდებმა და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. ესენი რომელ ხალხთან არიან გამსვლელები. უბრალოდ, იმედი აქვთ, რომ დასავლეთიდან წამოსული ზეწოლით და ამ ქვეყნის მაოხრებლობით შეძლებენ და ძალაუფლებას ხელში ჩაიგდებენ.**

**იციან, რომ არჩევნებით ვერ მობრუნდებიან და საარჩევნო პროგრამები და თავის ატკიება რად უნდათ. ვის გაესვლება ხალხში, ყველა მათგანს მშვენივრად სცნობს ჩვენი საზოგადოება. ნაციონალები ხომ თავს ვერ ყოფენ გარეთ. ეს ვითომ „ახალი“ რომაა, მათი ლიდერები საერთოდ ვირტუალურ სამყაროს ვერ სცდებიან. დანარჩენი - თაღლითი ხაზარაძე და მოღალატე გახარია რასაც ლაპარაკობენ, კი ვხედავთ, ესაა მათი საარჩევნო პროპაგანდა. მთავარია, დასავლეთი დაეხმაროს და ქართველი ხალხი უჭერს თუ არა მხარს, არ აინტერესებთ“,** — ამბობს გვენეტაძე.

მოამზადა
**ლიკა ბერიკაშვილმა**

# მართლა ვიწამლებით?!



## თბილისში ჰაერი ქუჩებშიც დაბინძურებულია და შენობებშიც!

**დედაქალაქში ჰაერის დაბინძურების მასშტაბები საგანგაშო ნიშნულისკენ მიდის. პრობლემაა როგორც უშუალოდ ქალაქის გარე სივრცეში, ასევე დახურულ შენობებში. ამის მიზეზი სხვადასხვაა და ერთ-ერთი უმთავრესია ის, რომ თბილისი უკონტროლო მშენებლობების გამო სათანადოდ ვეღარ „ნიავდება“. შესაბამისად, გამონაბოლქვი აირები ქალაქშია „ჩაწოლილი“.**

თბილისში ჰაერი შენობებში უფრო დაბინძურებულია, ვიდრე გარე სივრცეში. ამის შესახებ ნათქვამია ანგარიშში „სიღარიბე და ჰაერის დაბინძურების განაწილებითი შედეგები თბილისში“, რომელიც მსოფლიო ბანკმა შვედეთის ფინანსური მხარდაჭერით გამოაქვეყნა.

ანგარიშში გაანალიზებულია ჰაერის დაბინძურების მწვავე ზემოქმედება ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობასა და ეკონომიკურ კეთილდღეობაზე. განსაკუთრებული ყურადღება დედაქალაქის მოსახლეობის ყველაზე მოწყვლად ნაწილს ეთმობა.

ჰაერის დაბინძურების განაწილებითი ზემოქმედების შესაფასებლად კვლევაში გამოყენებულია მონაცემთა სხვადასხვა წყაროები, მათ შორის, ადმინისტრაციული ინფორმაცია, ჩატარებული შეფასებები, თანამგზავრიდან მიღებული გამოსახულებები და რეალურ დროში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები.

კვლევის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ შეძლებული ადამიანები ქალაქის ცენტრში ცხოვრობენ, სადაც ჰაერის დაბინძურების დონე უფრო მაღალია, შედარებით უფრო ხელმოკლე შინამეურნეობები და ნაკლები განათლების მქონე პირები ბევრად მოწყვლადნი არიან დაბინძურების უარყოფითი ზეგავლენის მიმართ იმის გამო, რომ უწევთ ღია სივრცეში ხანგრძლივად მუშაობა, არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას როგორც გარე, ისე შიდა სივრცეებში დაბინძურებული ჰაერის მავნე ზემოქმედების შესახებ.

**კვლევა მიუთითებს, რომ თბილისში ჰაერის დაბინძურების შემცირება შესაძლებელია მისი ხარისხის გაძლიერებული მონიტორინგით, ტრანსპორტის მოძრაობის და სამრეწველო გამონაბოლქვის რეგულირებითა და მწვანე ტექნოლოგიების ხელშეწყობით.**

ელექტრომობილების გამოყენების წახალისებას და საწვავის სტანდარტების მკაცრ დაცვას შეუძლია ტრანსპორტიდან მომდინარე გამონაბოლქვის შემცირება, რაც მწვანე გარდაქმნისთვის საქართველოს მზადების მნიშვნელოვანი ნაწილია. ამასთან ერთად, ნახშირბადის განფასების სისტემის შემოღებას, როგორც სათბური აირების გამონაბოლქვის რეგულირების დარგობრივი პოლიტიკის ინსტრუმენტს, შეუძლია არსებითად გააუმჯობესოს ადგილობრივი ჰაერის ხარისხი ჯამური გამონაბოლქვის შემცირებით.

კვლევის თანახმად თბილისში დახურულ სივრცეში ჰაერის დაბინძურების დონე ხშირად აჭარბებს შენობის გარეთ ჰაერის დაბინძურებას და მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობას.

საყოფაცხოვრებო საწვავის გამოყენება, მოწევა და შენობების საიზოლაციოდ გამოყენებული მასალები დედაქალაქის დახურულ სივრცეებში ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროებია.

„ჰაერის დაბინძურება აფერხებს განვითარებას ფატალური დაავადებების გამოწვევით, ზიანის მომტანი საცხოვრებელი პირობების შექმნითა და ეკოსისტემების დარღვევით, რაც ამწვავებს სიღარიბეს და უთანასწორობას. მსოფლიო ბანკი მოწოდებულია, გააგრძელოს მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოსთან ღარიბი და მოწყვლადი მოსახლეობის დასაცავად, რომლებიც ყველაზე მეტად განიცდიან ჰაერის დაბინძურების უარყოფით ზემოქმედებას“, – აღნიშნა მსოფლიო ბანკის სიღარიბის დაძლევის და თანასწორობის მიმართულების გლობალურმა დირექტორმა ლუის ფელიპე ლოპეს-კალვამ.

**დედაქალაქში ჰაერის დაბინძურების მძიმე ვითარებას ადასტურებენ ქართველი სპეციალისტებიც. თუკი დღევანდელი სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება, შესაძლოა, ქალაქს ეკოლოგიური კატასტროფა დაემუქროს, რაც ჰაერის დაბინძურებით იქნება გამოწვეული. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ „ქალაქი არ ნიავდება“, რასაც ხელს უკონტროლო მშენებლობა უშლის. მიჩნეულია, რომ დედაქალაქში ჰაერის დაბინძურების წყარო ავტოტრანსპორტია, მაგრამ პრობლემა მხოლოდ ეს არ არის.**



**აკადემიკოს სიმონ ბარამიძის შეფასებით, ამ მხრივ საყურადღებოა გათბობის ქვაბების გამონაბოლქვი, რომელიც ასევე ემატება ქალაქს და მძიმე ვითარებას ქმნის.**

„რამდენიმე წლის წინ, განსაკუთრებით დედაქალაქში, მიწიდან 3 მეტრის სიმაღლეზე იყო დაბინძურებული ჰაერი, მაგრამ დღეს ზღვარი უკვე 10 მეტრამდეა გაზრდილი. ამ დროს ქალაქს არავითარი ვენტილაცია არ აქვს. ადრე თუ ქარი ანიავებდა თბილისს 6-7 მ/წმ სიჩქარით, ახლა 12-15 მ/წმ-ია საჭირო.

**სრული განიავება რომ მოხდეს, საქართველოში ქარიშხალი უნდა იყოს მუდმივად.**

ერთ დღეს შეიძლება თბილისში ხალხი დაიწამლოს და ამაზეც იტყვიან, მოულოდნელი იყოო. რაც დიდი დიღომი ინტენსიურად გაშენდა, იქიდან ქარი აღარ შემოდის. როგორი არქიტექტურა და განაშენიანებაა ეს? ქალაქის არასწორი განაშენიანება გამოიწვევს მასობრივ მოწამვლას.

მტკვრის მარჯვენა მხარეს არაფერი არ ნიავდება, ისე უცნაურად არის ყველაფერი მოწყობილი. ამ დროს მტკვარი უნდა იყოს ყველაფრის გამტანი, თუმცა ასე აღარ ხდება.

როდესაც ჰორიზონტალური განიავება არ ხდება და ზაფხულში მზისგან ასფალტი ცხელდება, დედაქალაქში მაღალ ტემპერატურას ვიღებთ. სწორედ ამიტომ არის ტემპერატურა ასე მომატებული და კიდევ უფრო გაიზრდება.

**მტკვრის მარჯვენა მხარე არის განსაკუთრებით საშიში – საბურთალოს ტერიტორია, ვაკე, ყველა ცენტრალური უბანი. საბურთალოს ბაზართან 35-სართულიანი სახლი შენდება. მთავარი არქიტექტორი არ ჰყავს თბილისს, ელემენტარულად, მშენებლობის სამინისტრო მაინც უნდა არსებობდეს, მაგრამ ესეც გაუქმდა“, – განაცხადა სიმონ ბარამიძემ.**

**ბექა დანელია**

**ერთ დღეს შეიძლება თბილისში ხალხი დაიწამლოს და ამაზეც იტყვიან მოულოდნელი იყოო. რაც დიდი დიღომი ინტენსიურად გაშენდა, იქიდან ქარი აღარ შემოდის. როგორი არქიტექტურა და განაშენიანებაა ეს? ქალაქის არასწორი განაშენიანება გამოიწვევს მასობრივ მოწამვლას.**

## აჯამეთში კვლავ იმერული მუხა იშრიალებს

**აჯამეთის აღკვეთილში იმერული მუხის აღდგენის პროექტის მიმდინარეობას დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზესიკ კუსიდი ადგილზე გაეცნო.**

პროექტი, რომელიც კომპანია ბი პი -ს ფინანსური მხარდაჭერით, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციის „ელკანას“ მიერ ხორციელდება, საქართველოს წითელი ნუსხით დაცული სახეობის – იმერული მუხის აღდგენას, დაცვას და შენარჩუნებას ისახავს მიზნად.

პროექტი ორი ფაზისგან შედგება; პირველ ფაზაში 1,4 ჰექტარზე დაირგო 5 000-მდე იმერული მუხის ნერგი, შემოიღობა ტერიტორია, მოეწყო წვეთოვანი სარწყავი სისტემა და დამონტაჟდა 20-ტონიანი წყლის რეზერვუარი, ხოლო მეორე ფაზაში დაირგო 6 334 იმერული და ქართული მუხის ნერგი და დამონტაჟდა 200-ტონიანი სარწყავი წყლის რეზერვუარი. ჯამურად, პროექტის ფარგლებში, აჯამეთის აღკვეთილში, 7,4 ჰა ტერიტორიაზე დაირგვება 25 000 ძირი იმერული და ქართული მუხის ნერგი და მოეწყობა მცირე ზომის სანერგე. პროექტის ღირებულება 1 675 588 ლარს შეადგენს და ის 3 წლის განმავლობაში განხორციელდება.

დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბი პი საქართველოსთან წარმატებული თანამშრომლობის გამოცდილება აქვს. ორგანიზაციებს შორის გაფორმებულია ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც ემსახურება დაცული ტერიტორიების სისტემის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას და დაცული ტერიტორიების თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერებას.

აღსანიშნავია უნიკალური სახეობების აღდგენის მიმართულებით ბი პი-ის მხარდაჭერა, რომლის ფარგლებშიც თბილისის ეროვნულ პარკში კეთილშობილი ირმის აღდგენის შესაძლებლობის კვლევა მიმდინარეობს.





# წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები




## საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი 99 წლისაა

**1925 წლის 13 ივლისს, 99 წლის წინათ ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი შეიქმნა, რომლის კვლევის ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა სამეცნიერო–კვლევითი სამუშაოების განხორციელება წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვისა და მელიორაციის მიმართულებით.**

**სწორედ 2024 წლის 13 ივლისს ეს დღე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტმა სადღესასწაულოდ აღნიშნა. მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტი სახელოვან ტრადიციებს აგრძელებს და მიჰყვება იმ გზას, რომელიც დიდმა მეცნიერმა ცოტნე მირცხულავამ გაკვალა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან.**

კონფერენცია გახსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა **დავით გურგენიძემ.** მან ინსტიტუტის ხელმძღვანელსა და მეცნიერ-თანამშრომლებს გულითადად მიულოცა ეს ღირსშესანიშნავი დღე.

„გილოცავთ, მეგობრებო, ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის 99 წლისთავს. ეს ინსტიტუტი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, სადაც დღემდე მაღალკვალიფიციური მეცნიერები მოღვაწეობენ.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ინსტიტუტში, ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტების გათვალისწინებით, ღვაწლმოსილი მეცნიერები და ახალი თაობის მკვლევრები მუშაობენ ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, რომლებიც უკავშირდება ბუნებრივი კატასტროფების – წყალდიდობების, ღვარცოფების, მეწყრების, თოვლის ზვავებისა და ეროზიული პროცესების ინტეგრირებული მართვის მეთოდების შემუშავებას კლიმატის ცვლილების პირობებში და მათ საწინააღმდეგო საინჟინრო ნაგებობების დაპროექტებას, წყლის რესურსების უსაფრთხოებას, ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირებასა და კონტროლს, ზღვისა და წყალსაცავების პრობლემებისგან თავის არიდებას, ჰიდროტექნიკური ნაგებობების საიმედოობას და სხვ.

წლების განმავლობაში ინსტიტუტის მკვლევრებისა და მეცნიერ-თანამშრომლების სამეცნიერო პროექტებმა არაერთი საერთაშორისო საგრანტო დაფინანსება მოიპოვეს, რომლებსაც ევროპელ მკვლევრებთან კოლაბორაციით ახორციელებენ. რაც მთავარია, ინსტიტუტი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად სტრატეგიულ ნაბიჯებს დგამს ევროპის, ამერიკისა და აზიის სამეცნიერო სივრცეებში ინტეგრირებისთვის.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დაწყებული აქვს ზრუნვა, რომ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ლაბორატორიული კომპლექსით აღჭურვოს, რათა ჩვენმა მეცნიერებმა გაცილებით ეფექტიანად შეძლონ საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევებზე მუშაობა. მსურს, ინსტიტუტის ხელმძღვანელს, აკადემიკოს გივი გავარდაშვილს და ყველა თანამშრომელს, ძველი და ახალი თაობის მკვლევრებს, ინსტიტუტის დაარსების ეს დიდებული დღე მივულოცო და სამეცნიერო წარმატებები ვუსურვო ქვეყნის, ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ“, – განაცხადა ბატონმა დავით გურგენიძემ.

საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციის – **„წყალთა მეურნეობის, გარემოს დაცვის, არქიტექტურისა და მშენებლობის თანამედროვე პრობლემები“** მონაწილეებს ასევე მიმართა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა, ტექნიკის მეცნიერებათა დორქტორმა, პროფესორმა, ცენტრალური ჩინეთის ნორმალის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორმა, ინსტიტუტის უდიდესმა გულშემატკივარმა, ბატონმა **გივი გავარდაშვილმა** და აღნიშნა:

**„სტუმრებსა და კონფერენციის მონაწილეებს მინდა შევახსენო, თუ როგორ ხვდება ამ მნიშვნელოვან თარიღს წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი.**




**ამჟამად ჩვენს ინსტიტუტში არის სამი სტურქტურული ერთეული და ერთი ინოვაციური ჯგუფი, სადაც აქტიურად მიმდინარეობს სამეცნიერო პროგრამების განხორციელება, პარალელურად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ფუნქციონირებს ხუთი სამეცნიერო სადგური.**

**ინსტიტუტში ამჟამად მუშავდება სამი საერთაშორისო პროექტი:**

- **შავი ზღვის უსაფრთხოებისა და დაბინძურების რისკების კონტროლი ციფრული მოდელების გამოყენებით (G6028), დამფინანსებელი NATO – პროექტის NPD დირექტორი – გივი გავარდაშვილი;**
- **წყალმცენარეების ენერგიის გამოყენება დაბინძურების შემცირებისა და „ლურჯი სტრატეგიის“ განვითარებისათვის. ევროკავშირის საგრანტო პროექტი – შავი ზღვის NEXT 2021-2027 პროგრამა BSB00091. პროექტის თანადირექტორი – გივი გავარდაშვილი;**
- **საქართველო I2Q – ინოვაცია, ინკლუზიურობა და ხარისხი კონკურენტული ინოვაციის ფონდი (CIF) პროექტის „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „მთიანი ტერიტორიების მდგრადი განვითარება“ შექმნა მთის უნივერსიტეტთან (მილანის უნივერსიტეტის კვლევითი ცენტრი) თანამშრომლობით“ 2024-2026 წწ; გივი გავარდაშვილი ძირითადი შემსრულებელი.**

**ქ. ფოთში,** საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და თავად ბატონი დავით გურგენიძის მხარდაჭერით, პირველად საქართველოში დაფუძნდება **შავი ზღვის მეცნიერული კვლევის ობსერვატორია.** იქ ნატოს სტანდარტების მიხედვით წარმიმართება კვლევები. ასევე, ტექნიკური უნივერსიტეტის მხარდაჭერით, **გორში უკვე დაფუძნდა და ამ წლის ბოლოსთვის ფუნქციონირებას დაიწყებს წვეთური მორწყვის სისტემა, ფერტიგაციის გათვალისწინებით, სადაც განხორციელდება სამეცნიერო** და სასწავლო პროექტები. **გარდაბნის სამეცნიერო-კვლევითი სადგური და ალაზნის საცდელი სადგური,** სადაც მიმდინარეობს აქტიური კვლევები, დუშეთის სადგური, სადაც ხდება ბუნებრივი კატასტროფების შესწავლა-პროგნოზირება და ა.შ.

ინსტიტუტს აქვს მრავალი ინოვაციური პროექტი, რომლებიც განხორციელდება, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ დონეზე და უამრავი გეგმა, რომელიც ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტებიდან გამომდინარე იქმნება.“

**აკადემიკოსმა გივი გავარდაშვილმა აქტიური მხარდაჭერისთვის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს დავით გურგენიძეს მადლობა გადაუხადა და ტექნიკური უნივერსიტეტის მორიგი წარმატებაც მიულოცა, რაც ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის (CERN) დიდ ადრონულ კოლაიდერზე მიმდინარე გლობალური CMS ექსპერიმენტის ასოცირებულ წევრად სტუ-ის რექტორის არჩევას, ასევე, მისთვის პოლონეთის ლიუბლინის სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭებას უკავშირდება.**

კონფერენციაზე უჩვენეს დოკუმენტური ფილმები ინსტიტუტის ისტორიასა და დღევანდელობაზე.



საზეიმო ღონისძიებასა და საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერები და დოქტორანტები, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები, ასევე, 10 ქვეყნის მეცნიერ-სპეციალისტები სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან, ბელარუსიდან, იორდანიიდან, ინდოეთიდან, უზბეკეთიდან, ჩინეთიდან.

ინსტიტუტს დაარსების ეს მნიშვნელოვანი თარიღი მიულოცა კონფერენციის მონაწილეებმ, აკადემიკოს ეგიაზაროვის სახელობის სომხეთის წყალთა რესურსებისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა **ოჰანეს ტოკმაჯიანმა,** პოლონეთის ვარმია-მაზურის ოლშტენის ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებმა **ჯოანა პავლოვიჩმა** და **ალდონა სკოტნიცკა-სივსიაკმა,** ასევე, წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა **ედუარდ კუხალაშვილმა,** ბუნებრივი საფრთხეებისა და გარემოს დაცვის განყოფილების ხელმძღვანელმა, მთავარმა მეცნიერმა **რობერტ დიაკონიძემ,** ზღვისა და წყალსაცავების განყოფილების ხელმძღვანელმა, მთავარმა მეცნიერმა **ირინა იორდანიშვილმა,** ირიგაციისა და დრენაჟის განყოფილების ხელმძღვანელმა, მთავარმა მეცნიერმა **შორენა კუპრეიშვილმა** და სხვებმა.

ინსტიტუტის დაარსების დღისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე იმსჯელეს ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორიცაა: **კლიმატის ცვლილება, წყლის რესურსების ინტეგრალური მართვა, ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირება და კონტროლი, მწვანე მშენებლობისა და ურბანული არქიტექტურის თანამედროვე გამოწვევები და ა.შ.**

აღსანიშნავია, რომ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, ეკოლოგიისა და ბუნებრივი კატასტროფების გათვალისწინებით, ქვეყნისთვის პრობლემების თავიდან აცილების მიზნით მნიშვნელოვან საერთაშორისო და ადგილობრივ პროექტებს ახორციელებს, მათ შორის სახელმწიფო პროგრამას **„წყლის რესურსების უსაფრთხოება და ინტეგრირებული მართვა კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით“** (2020-2025), რომელიც პასუხობს UNESCO-ს საერთაშორისო მე-8 პროგრამის დირექტივებს.

სამეცნიერო პროექტი მოიცავს მრავალ მიმართულებას, კერძოდ, **წყლის რესურსების უსაფრთხოება და ინტეგრირებული მართვა კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით; ბუნებრივი კატასტროფების პროგნოზირება და კონტროლი ინოვაციური კონსტრუქციებით, მელიორაციის თანამედროვე პრობლემების კვლევა; ზღვისა და წყალსაცავების პრობლემების პროგნოზი; ჰიდროტექნიკური ნაგებობების საიმედოობა და რისკი** და აშ.

დამეთანხმებით, თითოეული მათგანი საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

შთამბეჭდავი იყო ინსტიტუტის ღვაწლმოსილი მეცნიერ-თანამშრომლების მისალმება კონფერენციის მონაწილეებისადმი, მათ „მრავალჟამიერი“ დააგუგუნეს, უსურვეს ინსტიტუტს დღეგრძელობა და მეცნიერული მიღწევები ქვეყნის საკეთილდღეოდ.

კონფერენციამ სამ დღეს გასტანა. დასასრულს სტუმრებისთვის პროფესიული ხასიათის ექსკურსიები გაიმართა მდინარე ვერესა და არაგვის წყალშემკრები აუზის დასათვალიერებლად.

**„საქართველოს რესპუბლიკა“ გულწრფელად ულოცავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტს დაარსებიდან 99 წლისთავს და შემდგომ მეცნიერულ წარმატებებს უსურვებს.**

**ირანდა კალანდაძე**

# როდის მოასწრო 21 წლის მიშიკო ჩხიკვიშვილმა მანიაკ მკვლელად ჩამოყალიბება?!!!

## აშშ-ში ბრალი წაუყენეს ქართველს, რომელიც რასობრივ ნიადაგზე ბავშვების მასობრივად მოწამვლას გეგმავდა?



**აშშ-ში იუსტიციის დეპარტამენტის თანახმად, 21 წლის მიხეილ ჩხიკვიშვილი წინასაახალწლოდ გეგმავდა თანამზრახველების გამოყენებით სანტა-კლაუსის ფორმით შხამიანი კანფეტების დარიგებას ბრუკლინის ებრაულ სკოლებში მყოფი ბავშვებისა და სხვა რასობრივი უმცირესობის წარმომადგენლებისთვის.**

მიხეილ ჩხიკვიშვილს მასობრივი თავდასხმების დაგეგმვასა და სიძულვილის ნიადაგზე დანაშაულის წაქეზებაში ფედერალურმა დიდმა ჟიურიმ ბრუკლინში წაუყენა ბრალი.

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის განცხადების თანახმად, ჩხიკვიშვილი, იგივე **„ყასაბი"**, იგივე **„ყასაბი მეთაური" „თეთრი რასის უპირატესობის"** მომხრე იყო და აღმოსავლეთ ევროპაში **„მანიაკ-მკვლელთა კულტის"** სახელწოდებით ცნობილ სასტიკ საერთაშორისო ექსტრემისტულ დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა.

განცხადების მიხედვით, **„მანიაკ-მკვლელთა კულტი"** ნეონაცისტურ იდეოლოგიას იზიარებს და მისი მიზანია რასობრივი უმცირესობების, ებრაული თემებისა და სხვა, მათი აზრით „არასასურველი" ჯგუფების წინააღმდეგ ძალადობრივი დანაშაულის წაქეზება, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა ტერორისტული და ძალადობრივი მეთოდებით, ქაოსისა და შიშის დანერგვა.

„კულტს" ჰყავს წევრები აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

ჩხიკვიშვილი, სავარაუდოდ, 8 ივლისს, მოლდოვაში დააკავეს. მოლდოვის სასაზღვრო პოლიციის ცნობაში ნათქვამია, რომ მოლდოვის უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს აშშ-ის და ინტერპოლის მიერ ძებნილი ტერორიზმში ეჭვმიტანილი 19 და 20 წლის საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც „სტამბოლი-კიშინიოვის" რეისის მგზავრები აღმოჩნდნენ.

ამასთან, მოლდოვის სასაზღვრო პოლიციის ცნობაში მათი ვინაობა არ არის მითითებული.

სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა და უსაფრთხოების წარმომადგენლებმა მათი შემოწმების დროს აღმოაჩინეს სპეციალიზებული სამხედრო სასწავლო ცენტრებში მომზადების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე ტერორისტული შინაარსის მულტიმედიური მასალები.

საქართველოს ერთი მოქალაქე კიშინიოვის პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორში მოათავსეს, ხოლო მეორე, რომელსაც არ ჰქონდა მოლდოვაში შესვლის უფლება, უკან თურქეთის რესპუბლიკაში გააბრუნეს.

აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის დოკუმენტების თანახმად დაკავებამდე მან სცადა ნიუ-იორკში მასობრივი თავდასხმის მოსაწყობად გადმოებირებინა თანამზრახველი, რომელიც გადაცმული სამართალდამცველი აღმოჩნდა.

განცხადების მიხედვით, ჩხიკვიშვილმა გადაცმულ ოფიცერს გაანდო და გადასცა დაწვრილებითი გეგმა და საწამლავის დამზადების დეტალური ინსტრუქცია.

აშშ-ის საგამოძიებო უწყების ცნობით, ჩხიკვიშვილს განზრახული ჰქონდა, რომ დაგეგმილი თავდასხმა ყოფილიყო იმაზე დიდი, ვიდრე 2011 წელს, ნორვეგიაში, ანდრეს ბრეივიკის მიერ მოწყობილი მასობრივი მკვლელობა, რომელსაც 77 ადამიანი შეეწირა.

აშშ-ის გენერალური პროკურატურის თანახმად ჩხიკვიშვილმა მასობრივი მსხვერპლის გამომწვევი ქმედების დაგეგმვა 2023 წლის ნოემბერში დაიწყო და ის ნიუ-იორკში, ახალი წლის ღამეს უნდა განხორციელებულიყო.

## აშშ-ის საგამოძიებო უწყების ცნობით, ჩხიკვიშვილს განზრახული ჰქონდა, რომ დაგეგმილი თავდასხმა ყოფილიყო იმაზე დიდი, ვიდრე 2011 წელს, ნორვეგიაში, ანდრეს ბრეივიკის მიერ მოწყობილი მასობრივი მკვლელობა, რომელსაც 77 ადამიანი შეეწირა.

„გეგმა მოიცავდა სანტა კლაუსად გადაცმული პიროვნების მიერ მოწამლული კანფეტების დარიგებას რასობრივი უმცირესობებისა და ბავშვებისთვის ბრუკლინის ებრაულ სკოლაში", – ნათქვამია აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის განცხადებაში.

განცხადების მიხედვით, ჩხიკვიშვილს ნათქვამი აქვს, რომ ჩადენილი ჰქონდა სხვა სიძულვილის დანაშაულები, როდესაც ცხოვრობდა ბრუკლინში, ნიუ-იორკში 2022 წელს. გამოძიების მიხედვით ის ბრუკლინში სულ მცირე, ორჯერ იმყოფებოდა და ბებიასთან, მამამისის დედასთან რჩებოდა.

აშშ-ის ფედერალური საბრალდებო დასკვნაში ასევე წერია, რომ 2021 წლის სექტემბერში ჩხიკვიშვილმა გაავრცელა მიმართვა სახელწოდებით **„მოძულის მანიფესტი"**, რომელშიც აცხადებდა, რომ „ხოცავდა თეთრი რასის გულისთვის" და მოუწოდებდა მკითხველებს, რომ „ეთნიკური წმენდის" ხელშეწყობის მიზნით ჩაედინათ ძალადობრივი „მასობრივი ტერაქტები", განსაკუთრებით აშშ-ში.

ძალადობრივი აქტების დაგეგმვისა და მოწოდების გარდა, ბრალდება მოიცავს ასაფეთქებელი მასალების დამზადების ინფორმაციის გავრცელებისთვისა და გამოყენების მუხლსაც.

აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს ცნობით, დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ჩხიკვიშვილს სისხლის სამართლის ოთხი მუხლის მიხედვით 50 წლით პატიმრობა ემუქრება. 20-20 წლით პატიმრობას ითვალისწინებს მძიმე დანაშაულისკენ წაქეზება და ასაფეთქებელი ნივთიერების დამზადებისა და გამოყენების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, და კიდევ, 5-5 წელია განსაზღვრული მძიმე დანაშაულის ჩადენის წაქეზების მიზნით შეთქმულებისა და მუქარის შემცველი ინფორმაციის გავრცელებისთვის.

**„რადიო თავისუფლება"**

# 4 ტონაზე მეტი კოკაინი ბელგიაში გადაჰქონდათ

**სამართალდამცველებმა პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში ოთხ ტონაზე მეტი ნარკოტიკული საშუალება კოკაინი აღმოაჩინეს, რომელიც ბელგიაში გადაჰქონდათ. ინფორმაციას ამის შესახებ ამერიკული ტელეარხი CBS News-ი ავრცელებს.**

კოკაინი გემზე დატვირთული შაქრის ტომრებში იყო ჩალაგებული. მისი წარმომავლობა უცნობია, ვინაიდან, როგორც ტელეარხი იუწყება, პარაგვაიში ბოლივიის, კოლუმბიისა და პერუსგან განსხვავებით ნარკოტიკული საშუალებები არ მზადდება.

**„მე ვფიქრობ, რომ ეს არის გზავნილი ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფებისთვის, რათა მათ პარაგვაი ტრანზიტულ ქვეყნად არ გამოიყენონ, რადგან ხელისუფლება მათ მაინც მიაგნებს და კოორდინირებულად იმოქმედებს",** – ციტირებს CBS News-ი პარაგვაის პრეზიდენტს სანტიაგო პენიას.

როგორც ქვეყნის მეთაურმა განაცხადა, ეს არის პარაგვაის ისტორიაში ამოღებული ნარკოტიკის ყველაზე მსხვილი პარტია. მისი საერთო ღირებულება შავ ბაზარზე დაახლოებით 240 მილიონი აშშ დოლარია. დაკავებულების შესახებ ინფორმაცია არ ვრცელდება.

# თბილისში 40 წლის კაცი ნაჯახით დაჭრეს

**გავრცელებული ინფორმაციით, 51 წლის მამაკაცმა, მეზობელს ღრმა ჭრილობა მიაყენა. დაჭრილი საავადმყოფოშია გადაყვანილი.**

მამაკაცი, პოლიციამ ცხელ კვალზე დააკავა.

გამოძიება, 118 მუხლით მიმდინარეობს. რომელიც განზრახ ჯანმრთელობის დაზიანებას გულისხმობს

# ბესიკ ხარძიანის მკვლელობის საქმეზე მსჯავრდებული დააკავეს



პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე თურქეთის რესპუბლიკაში დაკავებულია ბესიკ ხარძიანის მკვლელობის საქმეზე მსჯავრდებული ერთი პირი, – ამის შესახებ ახალმა გენერალურმა პროკურორმა გიორგი გაბიტაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, დაკავებულია უშუალოდ, დანაშაულის აღმსრულებელი, რომელსაც ბრალი ედება ჯგუფურად შეკვეთილი მკვლელობის ჩადენაში.

მიმდინარეობს საექსტრადიციო პროცედურები. იმედს გამოვთქვამ, რომ მალე დასრულდება ეს პროცედურები და მსჯავრდებული დროულად წარდგება ქართული მართლმსაჯულების წინაშე, – აღნიშნა გიორგი გაბიტაშვილმა.

სააპელაციომ ბესიკ ხარძიანის მკვლელობისთვის მსჯავრდებულს უვადო თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

# აკაკი ჩხენკელი – 150

## თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას მასპინძლობს



**18-19 ივლისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას მასპინძლობს: „აკაკი ჩხენკელი – 150“.**

კონფერენციას გახსნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ.

კონფერენციაზე წარმოდგენილია მოხსენებები, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი მეცნიერების მიერ.

გამოსვლები შეეხება აკაკი ჩხენკელის მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპს, პირველი მსოფლიო ომის, ომთაშორის ევროპის, ქართული ემიგრაციის და საქართველოს



დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიას. კონფერენციის პარალელურად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში გაიმართა გამოფენა, სადაც წარმოდგენილია მისი არქივიდან ის მნიშვნელოვანი დოკუმენტები და თვალსაჩინოება, რომელიც აკაკი ჩხენკელის ცხოვრებასა და მის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული.

საიუბილეო ღონისძიებების ფარგლებში, აკაკი ჩხენკელის – საქართველოს პირველი საგარეო საქმეთა მინისტრისა და გამოჩენილი პოლიტიკოსის დაბადებიდან 150 წლის აღსანიშნავად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა გამოსაცემად ამზადებს აკაკი ჩხენკელის ეპისტოლური მემკვიდრეობის ორ ტომს. მასში თავს მოიყრის აკაკი ჩხენკელის, როგორც დიპლომატისა და საზოგადო–პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ არსებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოიცემა აკაკი ჩხენკელის რჩეული თხზულებებიც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში არსებულ ერთ-ერთ აუდიტორიას მიენიჭა აკაკი ჩხენკელის სახელი.

სახელოვანი დიპლომატის სახელი მიენიჭება თბილისის ერთ-ერთ სკვერს, რომელიც საბურთალოს რაიონში მდებარეობს.

ამავე სკვერში განთავსდება მისივე ბიუსტიც, ხოლო მთაწმინდის რაიონში, გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე იმ სახლის კედელზე, სადაც აკაკი ჩხენკელი ცხოვრობდა, განთავსდება მემორიალური დაფა.

საგულისხმოა, რომ აკაკი ჩხენკელის სახელის უკვდავსაყოფად დაწესდა მისივე სახელობის სტიპენდია, რომელიც გადაეცემა გამორჩეული აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტიპენდიანტს საგარეო საქმეთა სამინისტრო გადასცემს ერთჯერად პრემიას.

ცნობილი დიპლომატის გამოსახულებით, საქართველოს ფოსტის მიერ შექმნილია საფოსტო მარკაც.

აკაკი ჩხენკელი (1874-1959) – ქართველი პოლიტიკოსი, დიპლომატი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი, ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, 1921 წლიდან – საქართველოს ელჩი საფრანგეთში.

მან უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებაში.

აკაკი ჩხენკელი ემიგრაციაში – 1921 წლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესების დაცვის საქმეს საერთაშორისო ასპარეზზე ხელმძღვანელობდა.




# ალექსანდრე შავერზაშვილის უკვდავება



**ახლახან საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა გამოჩენილი კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის, თვალსაჩინო პედაგოგის ალექსანდრე შავერზაშვილის 105 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.**

ალექსანდრე შავერზაშვილის შემოქმედებასა და მის ოჯახურ ფენომენზე ისაუბრა მუსიკოლოგიის დოქტორმა თამარ წულუკიძემ.

ა. შავერზაშვილის ოჯახის ფენომენი განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იგი მუსიკალურ დინასტიებს აერთიანებს!

შეხვედრაზე მიწვეული ხელოვანები, მეცნიერები, მელომანები დიდი ოვაციით შეხვდნენ იუბილარის შვილს გოგა შავერზაშვილს, რომელმაც მამის შემოქმედებიდან როგორც ძველი, ისე ახალი საფორტეპიანო ნაწარმოებები შეასრულა. დიდი მოწონება დაიმსახურა გოგა შავერზაშვილის და პიანისტ ლანა გულდედავას მიერ შესრულებულმა საფორტეპიანო ნაწარმოებებმა.



გოგა შავერზაშვილი და ლია მაისურაძე

იუბილარის შემოქმედებასა და მის პიროვნულ თვისებებზე ისაუბრეს მუსიკოლოგიის დოქტორმა რუსუდან ქუთათელაძემ, მუსიკოლოგმა ლალი კაკულიამ, საქართველოს სახალხო არტისტმა, კონსერვატორიის პროფესორმა და პედაგოგმა ელდარ გეწაძემ, რომელმაც „ოქროპირის“ არია შეასრულა 44 წლის წინ დაწერილი ოპერიდან „ქიაკოკონა“. კონცერტმაისტერი იყო დარეჯან მახაშვილი.

ახალგაზრდა, უმშვენიერესმა ვოკალისტმა ლა სკალას სოლისტმა სოფო შალამბერიძემ იმღერა „ჭრიჭინას“ არია ოპერიდან „მარინე“. ალექსანდრე შავერზაშვილის ყოფილმა სტუდენტმა, კომპოზიტორთა კავშირის წევრმა ლია ორაგველიძემ თავისი ორი საფორტეპიანო ნაწარმოები პრელუდია „ნოსტალგია“ და რომანსი „მონატრება“ მომღერალ ნაზი სარჯველაძის შესრულებით მიუძღვნა თავის უსაყვარლეს მასწავლებელს.

დიდი მოწონება ხვდა წილად გოგა შავერზაშვილის მიერ შესრულებულ ლირიკულ პიესას. მსმენელი სუნთქვაშეკრული უსმენდა იუბილარის ჰანგებით მოვარაყებულ მუსიკის ბრწყინვალებას.

* * *

**საიუბილეო** საღამოს ფონად გასდევდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მხატვრული ქარგვის ოსტატის, ნამდვილი ფერმწერის ლია მაისურაძის პერსონალური გამოფენა, იგი 24 ნამუშევრით წარსდგა საგამოფენო დარბაზში და წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა დამთვალიერებელზე.

საღამოს დასასრულ გოგა შავერზაშვილმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა პროექტის ორგანიზატორს, დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეს, ოპერის მეგობარს ნანა ჭიჭინაძეს, საიუბილეო საღამოს წამყვანს, შესანიშნავ მუსიკოლოგს თამარ წულუკიძეს, ნაქარგების დიდოსტატს ლია მაისურაძეს, საიუბილეო საღამოში მონაწილე პროფესიონალ მუსიკოსებს და დამსწრე საზოგადოებას.

**მარიკა პოპიაშვილი**



# ორენოვანი ახალი „რიწა“

**აფხაზეთის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს ორგანიზებითა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით განახლებული ჟურნალ „რიწის“ სპეციალური, ქართულ-ინგლისურენოვანი ნომრის პრეზენტაცია გაიმართა.**

ჟურნალის ახალი ნომრის წარდგენაზე სიტყვით გამოვიდნენ და ქართველებისა და აფხაზების ურთიერთობებზე, სახალხო დიპლომატიისა და აღნიშნული ლიტერატურული პლატფორმის მნიშვნელობაზე ისაუბრეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე რუსლან აბაშიძემ, აფხაზეთის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სააგენტოს დირექტორმა ლიკა კვარაცხელიამ და ლიტერატურის სფეროს წარმომადგენლებმა.




ჟურნალ „რიწის“ ახალი, ორენოვანი ნომერი გამორჩეულია თავისი შინაარსობრივი და ვიზუალური თვალსაზრისით, რითაც მკვეთრად განსხვავდება დღემდე გამოცემული სხვა ნომრებისგან.

„რიწა“ 49-წლიანი ისტორიის მქონე გამოცემაა, მასში შენარჩუნებულია ძველი ტრადიციები, სულისკვეთება და ვიზუალური ელემენტებიც კი.



# ორბანი — დაუპატიჟებელი სტუმარი ომის ფესტივალზე



**ვიქტორ ორბანმა შეიმუშავა უკრაინის ომის მოგვარების გეგმა. მან თავისი წინადადებები ევროსაბჭოს ლიდერებს გაუგზავნა. ევროპელი პოლიტიკოსების სკეპტიციზმის მიუხედავად, ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ უნგრული დოკუმენტი შეიძლება იქნას მიღებული, როგორც მომავალი მოლაპარაკებების საფუძველი.**

**„უნგრეთის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა წინადადებები გაუგზავნა ევროსაბჭოს ლიდერებს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის მოგვარების შესახებ, სიტუაციის რეალისტურ შეფასებაზე დაყრდნობით“,** – განაცხადა მისმა თანაშემწემ ბალაშ ორბანმა. ინიციატივები ჩამოყალიბდა უნგრეთის ლიდერის კიევში, მოსკოვში, პეკინსა და ვაშინგტონში ვიზიტის შემდეგ.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრის გეგმის მიხედვით, თურქეთი, აშშ, ევროკავშირი და ჩინეთი შეიძლება გახდნენ შუამავლები რუსეთსა და უკრაინას შორის **„ამ ქვეყნებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ, თუკი ვინმე რეალურ მშვიდობაზე ფიქრობს. ჩვენ ყველგან დავდიოდით, რათა შეგვედგინა და განვესაზღვროთ, რა შანსი იყო მშვიდობისთვის“,** – განმარტა ბალაშ ორბანმა.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ევროსაბჭოს მისი ხელმძღვანელის შარლ მიშელისადმი მიწერილ წერილში რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისკენ მოუწოდებს. მისი თქმით, აუცილებელია ჩინეთთან მოლაპარაკებების დაწყება სამშვიდობო კონფერენციის დაწყებაზე და დონალდ ტრამპი, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, შეიძლება გახდეს სამშვიდობო პროცესის შუამავალი.

**„დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ არჩევნებში გამარჯვების შემდეგ ის არ დაელოდება თავის ინაუგურაციას, მზად იქნება დაუყოვნებლივ იმოქმედოს როგორც შუამავალმა მშვიდობის დამყარებაში. მას აქვს დეტალური და დასაბუთებული გეგმები ამ კუთხით“,** - ნათქვამია უნგრეთის პრემიერის წერილში. ბუდაპეშტის გეგმის სხვა დეტალები უცნობია.

ბალაშ ორბანმა აღნიშნა, რომ უნგრეთი გამოიყენებს ევროსაბჭოს თავმჯდომარეობას სამშვიდობო მოლაპარაკებებისთვის პირობების შესაქმნელად. **„უნგრეთი არის უნარიანი შუამავალი, როგორც ეს ბოლო ორმა კვირამ აჩვენა. ახლა ჩვენი ამოცანაა, შევიმუშავოთ ახალი მიდგომა და შევეცადოთ დავარწმუნოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნები ვიქტორ ორბანის გეგმაში“,** – განაცხადა მან.

ორბანის მოსკოვში ვიზიტმა კიევისა და ევროპის ქვეყნების მწვავე კრიტიკა გამოიწვია. ევროკომისიის ხელმძღვანელმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა გააუქმა ევროკომისიის კოლეგიის ვიზიტი ბუდაპეშტში და შეამცირა წარმომადგენლობის დონე უნგრეთის თავმჯდომარეობით ევროკავშირის საბჭოს არაფორმალურ შეხვედრებზე. თავის მხრივ, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმერ ზელენსკიმ ორბანის ქმედებას „არასწორი“ უწოდა და აღიარა, რომ მან კიევი პუტინთან შესახვედრად გამოიყენა.

## ალტერნატიული შეთავაზებები

**რუსეთ-უკრაინის** სამხედრო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პირველი მცდელობა განხორციელდა დაპირისპირების დაწყებიდან რამდენიმე კვირაში. 2022 წლის 15 აპრილს სტამბოლში გაიმართა სამშვიდობო მოლაპარაკებების რაუნდი, რომლის დროსაც შესაძლებელი გახდა შეთანხმებების უმეტესი პუნქტების თანხვედრა. სამშვიდობო ხელშეკრულების პირობები ოფიციალურად არასოდეს გახმაურებულა. 2024 წლის მარტში The Wall Street Journal-მა გამოავლინა შეთანხმების დეტალები.

პროექტი, კერძოდ, ითვალისწინებდა უკრაინაში უცხოელი სამხედრო პერსონალისა და იარაღის განლაგების აკრძალვას. კიევმა პირობა დადო, რომ შეინარჩუნებს ნეიტრალურ სტატუსს და არ შეუერთდება ნატოს. დოკუმენტი არ შეიცავს ევროკავშირში გაწევრების აკრძალვას. ტექსტში საუბარი იყო უკრაინის არმიის გარკვეულ ზომამდე შემცირებაზე და ასევე ასახული იყო ანექსირებული ყირიმის პოზიცია – ნახევარკუნძული უნდა დარჩენილიყო რუსეთის კონტროლის ქვეშ უკრაინის მიერ მასზე სუვერენიტეტის ოფიციალური უარის თქმის გარეშე. დოკუმენტს ხელი არ მოეწერა მხარეებს შორის რიგ საკითხებზე უთანხმოების გამო.

ამის შემდეგ, 2022 წლის ნოემბერში, უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმერ ზელენსკიმ პირველად წარმოადგინა სამხედრო კონფლიქტის მოგვარების საკუთარი გეგმა. პროექტი მოიცავდა ათ პუნქტს, მათ შორის: რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება, ყველა პატიმრისა და დეპორტირებულის (მათ შორის უკრაინელი ბავშვების) გათავისუფლება, რუსული ჯარების გაყვანა და საომარი მოქმედებების შეწყვეტა, ასევე ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. მოსკოვი არ დაეთანხმა წინადადებებს. მიმდინარე წლის ივნისში უკრაინის ლიდერმა განაცხადა, რომ კიევი საომარი მოქმედებების შეწყვეტის ახალ დეტალურ გეგმას ამზადებს, რომელსაც წლის ბოლომდე წარადგენს.

კრემლმა ასევე გამოხატა თავისი ხედვა კონფლიქტის მოგვარების შესახებ. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი ყველა დასავლური სანქციების გაუქმებას და უკრაინის ოთხი რეგიონის: ზაპოროჟიეს, ხარკოვის, დონეცკის და ლუგანსკის ტერიტორიების რუსეთის მხარისთვის გადაცემას ითხოვს.

ასევე არის ალტერნატიული წინადადებები. ჩინეთმა შესთავაზა საკუთარი ვარიანტები – დოკუმენტი მოიცავს 12 პუნქტს, რომლებიც ჩამოყალიბებულია უკიდურესად ბუნდოვნად. მათ შორის: სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება, რუსეთისგან ცალმხრივი სანქციების მოხსნა, ყველა ქვეყნის სუვერენიტეტის პატივისცემა. ბრაზილიამ ომის დამთავრების სანაცვლოდ რუსეთს ყირიმის მიცემა შესთავაზა.

კიდევ ერთი გეგმა წარმოადგინა აფრიკის ქვეყნების ჯგუფმა. ბრძოლების დასრულება „რაც შეიძლება მალე“, მშვიდობის მიღწევა „მოლაპარაკებებისა და დიპლომატიური საშუალებებით“ და კიდევ „აფრიკის უფრო ღრმა ჩართვა სამშვიდობო პროცესში“.

## მოულოდნელი სარგებელი

**უკრაინელი** პოლიტოლოგი კონსტანტინე ბონდარენკო TRT-ს განუმარტავს, რომ უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი ცდილობს, მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი ახალი თანამდებობა, როგორც ევროსაბჭოს თავმჯდომარე.

„გარდა ამისა, მკვეთრად გაიზარდა მისი პოლიტიკური კერპის დონალდ ტრამპის რეიტინგი და ორბანი ცდილობს, შუამავლის როლი შეასრულოს ტრამპსა და ევროპულ ელიტებს შორის. ორბანის კიდევ ერთი მოტივი არის უფრო ძლიერი ფიგურა გახდეს. სწორედ ამით აიხსნება მისი მოგზაურობები კიევში, მოსკოვში, პეკინსა და ვაშინგტონში, მისი განცხადებები და ინიციატივები“, – განმარტა ექსპერტმა.

დღეს ბრიუსელი არ უსმენს ბუდაპეშტის წინადადებებს, მაგრამ ეს ვითარება შეიძლება შეიცვალოს შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. ბონდარენკოს მიაჩნია: „თუ ტრამპი მოიგებს არჩევნებს, ყველაფერი, რაზეც ახლა უნგრეთის პრემიერ-მინისტრი საუბრობს, შეიძლება მართლაც მიიღოს“.

შემთხვევითი არ არის, რომ უკრაინაში ვითარების მშვიდობიანი მოგვარების მორიგი სამიტი აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამართულიყო. მანამდე უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმერ ზელენსკიმ აღნიშნა, რომ კიევი სამშვიდობო გეგმის შესახებ წინადადებებს ნოემბრისთვის ჩამოაყალიბებს. მოსალოდნელია, რომ ფორუმზე რუსული მხარე იქნება მიწვეული, თუმცა მოსკოვმა უკვე განაცხადა, რომ მასში მონაწილეობას არ აპირებს.

**„ორბანის წინადადებები საინტერესოა, რადგან ის რეალურად გვთავაზობს კომპრომისულ ვარიანტს, რომელიც არის იმ მესიჯების მოდიფიკაცია, რომელიც ბოლო დროს გაჟღერდა ჩინეთისა და რესპუბლიკური პარტიის რამდენიმე წარმომადგენლის მიერ“,** – ამბობს ბონდარენკო. **„ვაღიარებ, რომ ნოემბრისთვის მისი ინიციატივები შესაძლოა ჩამოყალიბდეს დოკუმენტში, რომელიც იქნება უფრო ჰარმონიული, ვიდრე მის წერილებში მოცემული წინადადებები. სავარაუდოა, რომ ისინი განიხილება შესაძლო მოლაპარაკებებისა და კონსულტაციების დროს“.**

თარგმნა
**ქეთი გიორგაძემ**

# ლუიზიანაში ათი მცნების სწავლება დაიწყეს!



**ლუიზიანა პირველი ამერიკული შტატია, რომელმაც საჯარო სკოლებსა და სხვა სასწავლებლებში ათი მცნების სწავლება დააკანონა.** შედეგად, საკლასო ოთახებში კედელზე აკრავენ პლაკატებს ათი მცნებით, რომ მოსწავლეებმა ის ზეპირად ისწავლონ. შესაბამის განკარგულებას ხელს რომ აწერდა, ლუიზიანას რესპუბლიკელმა გუბერნატორმა ჯეფ ლენდრიმ თქვა, კანონის უზენაესობის პატივისცემა პირველი კანონმდებლის მოსესგან უნდა დავიწყოთ, რომელმაც ეს მცნებები თვით ღვთისაგან მიიღოო!.. სასწავლებლებში რიგდება ბროშურები, რომელშიც განმარტებულია თითოეული მცნება. გუბერნატორმა აწრიალებული ჟურნალისტები და მშობლები დაამშვიდა, რომ კანონის განხორციელება შემოწირულობებით დაფინანსდება და არა შტატის ბიუჯეტიდან, ანუ ის ხელს არ შეუშლის სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს. კანონი არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ლიბერალებმა გააპროტესტეს. მათი აზრით, ის ძირს უთხრის სეკულარიზმს, ანუ ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევების იდეას. უფრო მეტიც, ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებების კავშირმა უზენაეს სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომ კანონი საგანმანათლებლო თანასწორუფლებიანობას ეწინააღმდეგება, ანუ, მის გამო არაქრისტიანული რწმენის მქონე ბავშვები სკოლაში თავს დაცულად ვერ იგრძნობენ იმ შემთხვევაშიც კი, როცა ზოგიერთ მცნებას განსხვავებული აღმსარებლობაც იზიარებს. ხელისუფლება არ უნდა იყოს მხარე სასულიერო დებატებში, განაცხადა ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. ლუიზიანას შტატის ხელისუფლება კი, პირიქით ფიქრობს: **შეერთებული შტატები ევროპელმა ქრისტიანებმა დააარსეს, ამიტომ ათი მცნება არა მხოლოდ რელიგიური ნორმაა, არამედ, ამერიკის დამაარსებელი მამების პატივისცემასაც ნიშნავს.** კანონის სულისკვეთებას სხვა კონსერვატული შტატების, მაგალითად, ტეხასის, ოკლაჰომასა და იუტას ხელისუფლებაც იზიარებს. კანონის სისწორეში მისი მომხრეები უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებულმა სხვა გადაწყვეტილებებმა დაარწმუნა. მაგალითად, 2022 წელს ვაშინგტონის შტატის ერთ-ერთი ქალაქის ფეხბურთის მასწავლებელს ჯოზეფ კენედის ლიბერალურმა ორგანიზაციებმა იმის გამო უჩივლეს, რომ ვარჯიშისგან დასვენების დროს ის მოსწავლეებთან ერთად ლოცულობდა ხოლმე მოედანზე. მასწავლებელი სკოლიდან გაუშვეს. მან კი, უზენაეს სასამართლოში იჩივლა, საქმე მოიგო და სამსახური დაიბრუნა.



**ნუგზარ ბ. რუხაძე.**
POSTV



# „დიდგორელის“ მორიგი გამარჯვებულები

**ისტორიის კონკურსში, რომელიც 2019 წლიდან არემჯის მხარდაჭერით იმართება მხოლოდ ქვემო ქართლის მასშტაბით, 2000-ზე მეტ ახალგაზრდას აქვს მონაწილეობა მიღებული.**

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ისტორიის კონკურსი „დიდგორელის“ გამარჯვებულების გამოვლენის ღონისძიებას უმასპინძლა.

ამჯერად ღონისძიებაზე თეთრიწყაროსა და ახალციხის მუნიციპალიტეტების გამარჯვებულების ვინაობა გახდა ცნობილი.

2024 წლის ახალციხის „დიდგორელი“ N5 საჯარო სკოლის მოსწავლე მარიამ ქომოშვილი გახდა, ხოლო თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში საუკეთესო შედეგი ტყუპმა დებმა ანი და მარიამ ჩოხელებმა აჩვენეს. პირველად „დიდგორელის“ ისტორიაში, კონკურსის ჟიურიმ მიიღო გადაწყვეტილება ერთის ნაცვლად ორი გამარჯვებული გამოევლინა, რადგან გოგონებმა კონკურსის ყველა ტურში იდენტური – უმაღლესი შედეგი აჩვენეს. ტრადიციულად გამარჯვებულებს არემჯისგან 6-თვიანი სტიპენდია გადაეცემათ.

„მოხარული ვარ, რომ „დიდგორელის“ ყოველ ახალ სეზონზე ამდენ ახალგაზრდას ვხედავ, რომელიც დაინტერესებულია საქართველოს ისტორიით. ეს კონკურსი არ არის მხოლოდ სახელმძღვანელოდან კონკრეტული მნიშვნელოვანი თარიღების დამახსოვრება და შემდეგ ტესტში მაღალი ქულების მიღება, „დიდგორელი“ პირველ რიგში ახალგაზრდების ერთობაა, რომლებსაც უყვართ სწავლა, განვითარება, გამოწვევები, ახალი მეგობრების შეძენა, უყვართ თავიანთი ქვეყანა. არემჯის მიერ დაწესებული სტიპენდიაც სწორედ ასეთი ახალგაზრდების წახალისებას და მათ განვითარებას ისახავს მიზნად.“ – განაცხადა არემჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ნატალი ნოზაძემ.

ისტორიის კონკურსი „დიდგორელი“ სასკოლო ასაკის მოსწავლეების კონკურსია, რომელიც 2019 წელს ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტებში დაიწყო და ამ დრომდე 10-მდე სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა. პროექტი დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვის ხორციელდება და მიზნად ისახავს ახალგაზრდების დაინტერესებას საქართველოს ისტორიით.

პროექტი მრავალკომპონენტიანია და მოიცავს როგორც ტესტის დასაწერად მოსამზადებელ ნაწილს, ისე შემეცნებით აქტივობებსაც, როგორებიცაა სტუმრობა მუზეუმებსა და ბიბლიოთეკებში, ლექციებზე დასწრება, მოსწავლეთა კონფერენციების მოწყობა, მინი ფილმების გადაღება ისტორიულ თემებზე და ა.შ.



არემჯისთან ერთად წლების მანძილზე „დიდგორელს“ არაერთი გულშემატკივარი გამოუჩნდა, მათ შორის არის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, პროექტი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს თავდაცვის ძალების წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობასთან.

**კორპორაციული პასუხისმგებლობის ფარგლებში არემჯი მიჰყვება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს, რომელთაგანაც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ხარისხიანი განათლების ხელშეწყობა. ამ კუთხით კომპანია სხვადასხვა საგანმანათლებლო ინიციატივას ახორციელებს, მათ შორის გამორჩეულია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით განხორციელებული სტუდენტური პროგრამები და არაფორმალური განათლების ხელშეწყობის პროექტები სკოლის მოსწავლეებისთვის, როგორიც არის „დიდგორელი“.**

# ოქროს ფასმა ახალ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია

**მსოფლიოში ოქრო გაძვირდა და ახალ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია. 17 ივლისის მონაცემებით, ძვირფასი ლითონის ფასმა უნციაზე 2 466 დოლარი შეადგინა.**

**Gold Price**-ის მონაცემების თანახმად, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, წინა თვესთან შედარებით, ოქროს ფასი 6,36%-ით არის გაზრდილი.

აღსანიშნავია, რომ გლობალურ ბაზრებზე ივნისში ოქროს ფასი სტაბილური იყო და თვე თითქმის უცვლელად - ერთ უნციაზე 2 327 დოლარის ღირებულებით დახურა. მიუხედავად ერთთვიანი სტაბილურობისა, 2024 წლის დასაწყისიდან ივნისის ბოლომდე ოქროს ფასი მსოფლიო ბაზრებზე 12.8%-ით არის გაზრდილი.

ფასები იზრდება საქართველოშიც, კერძოდ, თუ დაახლოებით ერთი თვის წინ ე.წ. „ოქროს ბირჟაზე“ მაგალითად, 1 გრამი ე.წ ბაჯაღლო 958 სინჯით – მაქსიმუმ 220 ლარი ღირდა, ამ დროისთვის ფასები 220-დან 250 ლარამდე მერყეობს, 1 გრამი ოქრო 958 სინჯით 220 ლარი ღირს, მაშინ, როცა ივნისში 200 ლარი იყო, ხოლო 1 გრამი ე.წ. საქსტატის მონაცემებით, ქორწინების 958 სინჯის ოქროს ბეჭედი ივნისში წლიურად 20.92%-ით, ხოლო თვიურად 2.74%-ით გაძვირდა.

## ემზარ კვიტაიშვილი



# აღზევებული ბოროტების დასათრგუნავად

### დაპროგრამებულები

დროშებს იხვევენ და გაჰკივიან,
მათ ტვინში წყვდიადი, წკვარამია;
ენჯეოებისგან დარაზმულებს,
თხაწვერა, მიუძღვით გვარამია.

გეგმა შეუდგინეს ვერაგული,
რამდენი ხანია, გამოირკვა,
მიზანი ცოფიანთა, საბოლოო –
მთელი საქართველოს ამოძირკვა.

### ქაოსის მომწყობნი

რწყევა გინდება, შერწყმაა ფერთა,
ბილწს ბოროტება მომატებია;
ნაცები, ზურაბიშვილთან ერთად,
საქმეში ჩაჯმის ოსტატებია!

### მიწათყლაპია

მას არასოდეს უცვლია ნირი,
ორივ ხელით ჭამს ბლინსა და ქადას;
დაფჩენილი აქვს ვეება პირი,
ჩვენ რას გავწვდებით რუსეთის მადას?!

### საყალალო თანაფარდობა

ვერაფრით მოვიშორეთ იგინი,
სიწმინდეები ვინაც გვიგინა;
თითო-ოროლა პოლიტიკოსთან,
ათასობით გვყავს პოლიტიკინა.

### ნაგავს გასაყოლებელნი

აშმორებულად იქცნენ ჭაობად,
მტერმა არკვიოს მათი რაობა;
თვალი შევავლოთ მსოფლიოს ერებს,
ვის ჰყავს, ჩვენს გარდა, ნაცმოძრაობა?!

### ჭკუას მოვუხმოთ!

ძმებო, ფრთხილად! ხშირად ყვინთავს,
ჩვენი ნავის კიჩო;
საქართველო ყველა ვეშაპს,
უნდა გამოვგლიჯოთ!

სანამ გადაგვსანსლავს ვინმე,
მოვიმარჯვოთ ბარჯი! –
რა ხარ მერე, შენი მიწის
გარეშე თუ დარჩი?!

### მიშაკუას გაწვრთნილები

საქართველოვ თუ დაგჭირდა,
კელაპტარად აგენთები!..
მტრისას, ჩვენ რომ ამბავი გვჭირს,
გვყავს აგენტთა აგენტები.

დარაზმული მათი გუნდი
ხელში ასატაცებია;
თვალში ნაცარს რომ გვაყრიან,
ქარაქუცა ნაცებია!

### საქალეთი შეგძულდება

შხამშია ამოვლებული,
მათი წანწალა ენა;
გზაც იქეთ ჰქონდეთ, ეტყობათ,
მიდიან საითკენაც.
რა დედის კალთამ გაზარდა,
ღმერთო, დიდება შენდა!
თვით მტერსაც არ ვუსურვებდი
მათნაირ პარლამენტარს!

### რუსული სწორედ ესაა!

აღგზნებულო ყმაწვილებო,
ვერ გიწონებთ ამ „ხოდებს“ –
„სა-ქარ-თველო!“ – იძახო და
საქართველოს ამხობდე!

დიდად ვწუხვართ, რომ ჭკუიდან
გადახვედით სრულებით –
ბოროტ ნაცთა გარშემო ხართ,
ყველა დარაზმულები!

### „ხალხის ძალა“ მაგრობს

ევროკავშირ-ამერიკა
ლამობს, ვიქცეთ რობოტად;
მთელი ერი გახდეს ლუკმა,
არასამთავრობოთა.

ქვეყნის გადატრიალების,
გეგმები აქვთ ნაცური,
სიბინძურეს, ამდენს, უნდა
დახვედრა, მამაცური.

### ნაგავში აზელილნი

მათი უსინდისობანი
ყველა საზღვარს გაცდა,
ერთ ავტობუსს ძლივს ავსებს,
ნარჩენები ნაცთა.

ყარან, ურცხვ ცხვირ-პირზე სცხიათ,
რაც რო ქაქი ყლაპეს,
რა მთხლე უნდათ, დასაბეჟებს,
ბეჟაშვილს და ხაზეს?!

### გაიძვერა

ეკრანს აღარ სცილდება
ღლეტია და ურცხვი,
გოცირიძე კუპონა –
ქეცი, თაგვის ცურცლი,
გმირად იქცა ნაცების
ისტორიის ფურცლის.

სულ ამაოდ ჰგონიათ,
ზურგის ქარი ქრისო,
არ სჩვევია ჩვენს მოდგმას,
ჯავრი ჭამოს მტრისო,
ეს ბაღლინჯო, მისგვარებს,
თავზე დავასრისოთ!



◉ გიხაროდენ!

# ზღაპარი გრძელდება



**ქართული საფეხბურთო ზღაპარი გრძელდება და ვიმედოვნებთ, მისი ბოლოც კეთილი იქნება.**

გვაქვს პატივი, ამჯერად ქალთა ეროვნული ნაკრების არნახული წარმატება გახაროთ, რომელმაც ერთა ლიგის III დივიზიონის საკვალიფიკაციო რაუნდი დაძლია და ორი ნაბიჯის გადადგმაღა დარჩა ისტორიის დაწერამდე.

ყველაფერი ფედერაციის სათავეში **ლევან კობიაშვილის** და მისი გუნდის მისვლით დაიწყო, რომელმაც ერთ-ერთ პრიორიტეტად სწორედ აღნიშნული სეგმენტის განვითარება დაისახა და თანმიმდევრულ ღონისძიებათა განხორციელებით უკვე ტრიუმფს მიუახლოვდა.

შეგახსენებთ, რომ პირველ მერცხლად ლანჩხუთის გუნდის ღირსეული დებიუტი მოგვევლინა ჩემპიონთა ლიგაში, ქვეყნის მთავარ კრებულში კი სასიკეთო ძვრები მას შემდეგ დაიწყო, რაც მის მწვრთნელად ისრაელელი **ირის ანტმანი** მიიწვიეს, რომელმაც შეგირდები კონტინენტური ფორუმის პლეიოფში გაიყვანა.

საამისოდ ჯვაროსნებმა შესარჩევ ჯგუფში უმძიმესი ბრძოლები გადაიტანეს, გადამწყვეტი გამარჯვება კი ლიეტუვაში მოიპოვეს იქაურ უშუალო კონკურენტებთან და მიზანს საუკეთესო მეორეადგილოსნის სტატუსით მიაღწიეს.

პროგრამა-მინიმუმი 88-ე წუთზე შესრულდა, როცა **თეონა ბაქრაძის** წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ოქროს გოლად **მაიკო ბებიამ** აქცია – 1:0. ვულოცავთ!

რაც შეეხება დარჩენილ ეტაპებს, დღეს 28 მაძიებლის წილისყრაა დანიშნული და მას შემდეგ, რაც ოქტომბერში მათი რაოდენობა განახევრდება, 14 იღბლიანი უკანასკნელ რაუნდში, სავარაუდოდ ნოემბერში ან დეკემბერში, ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის დასკვნით შესანიშნავ შვიდეულს გამოავლენს.

ახლოა სასწაულამდე!

სასურველ რევანშამდე ცოტა დააკლდა ბათუმის დინამოს, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში ორრაუნდიანი ბრძოლა ბულგარულ ლუდოგორეცთან 1:3 და 1:0 დათმო.

აღსანიშნავია, რომ ზღვისპირელები მე-3 წუთზევე დააწინაურა მამუჩაშვილმა, ხოლო მალევე მის მიერ გატანილი მეორე ბურთი მსაჯებმა რატომღაც არ ჩათვალეს.

მასპინძლებს შემდეგაც შეეძლოთ თამაშის სულ მცირე დამატებით დროში გადაყვანა, მაგრამ მეტი ვეღარ მოახერხეს და კონფერენსლიგაში დაქვეითდნენ.

◉ პლეი – ოფში

# დღეს – უკრაინასთან

**საქართველოს 20-წლამდელ კალათბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის B დივიზიონის მეოთხედფინალში უკრაინას შეხვდება. ეს ამბავი გუშინ, გვიან გადაწყდა, როცა C ჯგუფში ყველა თამაში დასრულდა. გათამაშების ფორმატის თანახმად, A ჯგუფის საუკეთესო 2 გუნდი ჯვარედინად B ჯგუფის საუკეთესოებს უწყვილდება, ხოლო იგივე წესით C – D ჯგუფს. შესაბამისად, D ჯგუფის მე-2 ადგილზე გასული საქართველოს ნაკრები ელოდებოდა C ჯგუფის გამარჯვებულის გამოვლენას, რომელიც უკრაინის ნაკრები გამოდგა.**

აქ ყველაფერი ჩახლართულად მოხდა. შვედეთი გახლდათ ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი D ჯგუფში, რომელთანაც 1 ქულით ჰქონდა წაგებული უკრაინას, ხოლო კიდევ ერთი ჯგუფიდან გასვლის პრეტენზიის მქონე უნგრეთის ნაკრები შვედეთს ბოლო ტურში ხვდებოდა. მანამდე უკრაინას უნგრეთი 8 ქულით ჰყავდა დამარცხებული.

ყველაფერს შვედეთი-უნგრეთის დაპირისპირება წყვეტდა. გამარჯვებული გუნდი უკრაინასთან ერთად ჯგუფიდან გადიოდა, ხოლო წაგებული მესამეზე და შესაბამისად – ჯგუფში რჩებოდა. საქართველოსთვის მნიშვნელობა იმას ჰქონდა, თუ რომელი გუნდი გავიდოდა პირველზე. შვედეთის გამარჯვების შემთხვევაში, ეს უკანასკნელი პირველ ადგილზე წაუგებლად რჩებოდა, თუმცა უნგრეთთან კარგად დაწყებული მატჩი საბოლოოდ წააგო და სამგუნდიან ტაი-ბრეიკში მესამე ადგილზე აღმოჩნდა. ბურთების შეფარდებით პირველზე უკრაინა დაჯდა, ხოლო მეორეზე – უნგრეთი.

შესაბამისად, საქართველო უკრაინას დაუპირისპირდება, ხოლო უნგრეთი – ჩვენს (D) ჯგუფში პირველზე გასულ რუმინეთს. საქართველო-უკრაინას შორის გამარჯვებული ნახევარფინალში ნიდერლანდები – სლოვაკეთს შორის საუკეთესოს დაუპირისპირდება. სხვა მეოთხედფინალებში ითამაშებენ: რუმინეთი-უნგრეთი და ფინეთი – პორტუგალია.

საქართველოსა და უკრაინის ნაკრებები 10 დღის წინ ლატვიაში ერთმანეთს სპარინგ-მატჩში შეხვდნენ და მაშინ უკრაინამ 86:80 იმარჯვა, ნახევარფინალის საგზურის მომტანი მატჩი კი დღეს თბილისის დროით 16:30 საათზე რუმინეთის ქალაქ პიტეშტში გაიმართება.



◉ ოკეანის გაღმა

# კუნფუდან – მედიცინაში

**ჩვენი წერილის გმირმა ბავშვობაში ცეკვით შეაბიჯა, ხოლო შემდეგ ფორტეპიანოზე და გიტარაზე დაკვრამ გაიტაცა, ჩვენს რუბრიკაში კი სპორტულ ასპარეზზე მოპოვებული ხმაურიანი წარმატებით მოხვდა.**

საუბარია ამერიკაში მცხოვრები პოპულარული მომღერლის – ნუცა შანშიაშვილისა და თემურ ტაგიევის ოჯახის ერთადერთ შვილზე – ნიკუშაზე, რომელმაც ვაშინგტონში გამართულ თანატოლთა კუნფუს პრესტიჟულ ტურნირზე ერთბაშად 2 ოქროს მედალი მოიხვეჭა!

სათქმელად, იცოცხლეთ ადვილია – წარმატება მოიპოვაო, მაგრამ აღნიშნულ მიღწევას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ის ფაქტი ანიჭებს, რომ ნორჩ ჩემპიონს სარბიელზე მეტოქეობას იაპონელები, ჩინელები და კორეელები უწევდნენ, ხოლო როგორი საკულტოა აზიელთათვის აღმოსავლური ორთაბრძოლის დასახელებული სახეობა, საყოველთაოდაა ცნობილი.

და კურიოზულად, იცით, რა მიგვაჩნია? – როგორც ნიკუშას დედა ამბობს, მისი ვაჟი ხელოვნებაში ან სპორტში კი არა, არამედ მედიცინაში აპირებს დაოსტატებას.

◉ იმედი




# ოქროც, ლიცენზიაც

**პარიზის ოლიმპიადამდე ერთი კვირაღა დარჩა, აგვისტოს მიწურულს კი საფრანგეთის დედაქალაქი პარასპორტსმენთა მსგავს უმაღლესი რანგის კომპლექსურ საერთაშორისო ფორუმს უმასპინძლებს, სადაც ქართულ დელეგაციას სხვებთან ერთად ტაეკვანდოს უნიჭიერესი ოსტატი ანა ჯაფარიძეც წარადგენს.**

ახალგაზრდა მწვრთნელის **შოთა გოჩიაშვილის** საყვარელმა შეგირდმა შესაბამისი ლიცენზია კორეაში გამართულ მსოფლიოს ღია ჩელენჯერზე მოპოვებული ოქროს მედლით დაიმსახურა, სადაც ლია ჩაჩიბაია და გიორგი ნიკოლაძე მესამე პრიზიორები გახდნენ.

დავძენთ, რომ ჩვენმა პარაოლიმპიურმა იმედმა აზიაში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი და რეიტინგის ლიდერი დაამარცხა.

◉ პირველად



# არის ოთხი საგზური!

**საქართველოს წყალში მხტომელთა ნაკრებმა პოლონეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ოთხი საგზური მოიპოვა, რაც ქართული წყალში ხტომის ისტორიაში უპრეცედენტო შედეგია. მსოფლიოს პირველობაზე საქართველოს ღირსებას მარიამ შანიძე, თეკლა შარია, გიორგი წულუკიძე და ალექსანდრე ცხომელიძე დაიცავენ.**

კონტინენტის პირველობაზე 14 წლის ალექსანდრე ცხომელიძემ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში 396,35 ქულა დააგროვა და მეხუთე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ იუნიორებს შორის ევროპის ჩემპიონატზე ქართველი მხტომელი ხუთ საუკეთესო სპორტსმენს შორის პირველად მოხვდა.

ალექსანდრე ცხომელიძემ და გიორგი წულუკიძემ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომაში მერვე ადგილი დაიკავეს, თეკლა შარიამ და მარიამ შანიძემ კი შარშანდელი შედეგი გააუმჯობესეს და 3-მეტრიანი ტრამპლინიდან სინქრონულ ხტომაში 219,84 ქულით მეექვსე ადგილი დაიკავეს.

მოპოვებული მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურების რაოდენობით საქართველო დიდი ბრიტანეთის, იტალიის, გერმანიისა და უკრაინის შემდეგ მეხუთე პოზიციაზეა.

◉ ევროლიგა

# ბათუმის ქვიშაზე

**საქართველოს ქვიშის ფეხბურთის ნაკრებმა ევროლიგის ბათუმის საერთაშორისო თასის გათამაშება გამარჯვებით დაიწყო და პირველ შეხვედრაში ლატვიის ეროვნული გუნდი 6:1 დაამარცხა.**

ჰეთ-თრიქი **გოჩა მახარაძემ** შეასრულა, დუბლი **ლევან ფარცვანაძის** ანგარიშზეა, ხოლო საბოლოო ანგარიში **გიორგი ჟორდანიამ** დააფიქსირა.

ჯვაროსნები მომდევნო მატჩს დღეს უნგრეთის წინააღმდეგ გამართავენ. შეხვედრა 19 საათზე დაიწყება. ბათუმში მიმდინარე ტურნირში შვიდი გუნდი მონაწილეობს.

**„ფეხბურთის ფედერაციისთვის გარდა პროფესიული ფეხბურთის განვითარებისა, მნიშვნელოვანია მასობრივი ფეხბურთის განვითარება. ამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ქვიშის ფეხბურთი. მოხარულები ვართ, რომ ბათუმი მასპინძლობს ქვიშის ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატის B ლიგას, სადაც საქართველოს ნაკრებს საშუალება აქვს, რომ აიწიოს A ლიგაში.**

**მინდა, მადლობა გადავუხადო აჭარის მთავრობას, ბათუმის მერიას, სპორტის დეპარტამენტს, რომლებმაც შეძლეს და უმოკლეს დროში ასეთი შესანიშნავი არენა აჩუქეს ბათუმს და სრულიად საქართველოს. ვფიქრობ, რომ ქვიშის ფეხბურთს საქართველოში აქვს მომავალი და ვუსურვებ წარმატებას ჩვენს ნაკრებს, აგრეთვე, მინდა, რომ მოვიდეს მაყურებელი და ისიამოვნოს“,** – განაცხადა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა **კახა ჯუმბურიძემ.**





# შინაგან საქმეთა მინისტრი სამეგრელოში

**შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, მოადგილეებთან – იოსებ ჭელიძესთან, გიორგი ბუთხუზთან და ალექსანდრე დარახველიძესთან ერთად, სამეგრელოში, განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის ბაზას ეწვია.**

ვახტანგ გომელაური მოადგილეებთან ერთად საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზეც იმყოფებოდა, სადაც განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს შეხვდა და გაესაუბრა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მათგან ადგილზე არსებული მდგომარეობის, ასევე საჭიროებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო. ვახტანგ გომელაურმა განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლებს გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა.

# აფხაზეთის დანგრევისკენ მიმართული კანონი

## ოკუპირებულ აფხაზეთში აქციის მონაწილეებსა და უსაფრთხოების ძალებს შორის შეტაკებები მოხდა

**თვითგამოცხადებული აფხაზეთის ე.წ. ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტმა მხარი დაუჭირა აფხაზეთის აღმოსავლეთში აპარტამენტების თაობაზე კანონპროექტს, რომლის განხილვაც დოკუმენტის მოწინააღმდეგეთა მასობრივი აქციების ფონზე მიმდინარეობდა.**

საკანონმდებლო ორგანოს წინ შეკრებილები მოითხოვდნენ დეპუტატებისგან, რომ გამოსულიყვნენ ხალხის წინაშე, რაც კანონმდებლებმა უგულებელყვეს.

„ეხო კავკაზას“ ცნობით, დე ფაქტო პარლამენტის წინ მოხდა რამდენიმე შეტაკება სამართალდამცველებსა და აქციის მონაწილეებს შორის.

„აფხაზი ხალხის გარეშე დღეს ცდილობენ, მიიღონ კანონი, რომელიც აფხაზეთის სახელმწიფოს დანგრევისკენ არის მიმართული“, – განაცხადა ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. პარლამენტის ყოფილმა დეპუტატმა ლეონიდ ჩამაგუამ ადგილობრივი ტელეგრამის არხებთან საუბარში.

კანონის მოწინააღმდეგეები, კერძოდ, ფიქრობენ, რომ აპარტამენტის თაობაზე მომზადებული ნორმა არასაცხოვრებელი ფართების შეძენის შემთხვევაში მათ აფხაზეთის მოქალაქეობის მიღების უფლებასაც მისცემს, რასაც დე ფაქტო ხელისუფლება უარყოფს.

„ეხო კავკაზას“ ცნობით, სოხუმში ვითარება დაძაბულია.

# საქართველოში უმსხვილესი ჩინური ავიაკომპანია AIR CHINA პირდაპირ ფრენებს იწყებს

**საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ინფორმაციით, AIR CHINA ავიარეისების განხორციელებას მიმდინარე წლის სექტემბრიდან, თბილისსა და ურუმჩის შორის კვირაში 3 სიხშირით განიხილავს. რეისების დასაწყებად ავიაკომპანიასთან კონსულტაციები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს.**




ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის მარიამ ქვრივიშვილის განცხადებით, საქართველოსა და ჩინეთს შორის სავიზო რეჟიმის გაუქმებამ დამატებით სტიმული მისცა ორმხრივ მოლაპარაკებებს სამოქალაქო ავიაციის სექტორში თანამშრომლობის გაღრმავების, მათ შორის, პირდაპირი ფრენების სიხშირეთა გაზრდისა და ფრენების გეოგრაფიის გაფართოების მიმართულებით. „ჩინეთი საქართველოს ტურისტული სექტორისთვის ახალი პრიორიტეტული მიმართულებაა. ჩინეთიდან ჩამოსული ტურისტები, ტრადიციულად, გრძელვადიან ტურებს ირჩევენ და გამოირჩევიან მაღალმხარჯველუნარიანობით. პირდაპირი ფრენების სიხშირეთა ზრდა ხელს შეუწყობს მეტი ვიზიტორის ჩამოსვლას ჩინეთიდან, რაც დადებითად აისახება ტურიზმისა და სამოქალაქო ავიაციის სექტორის განვითარების დინამიკაზე, აგრეთვე ორმხრივ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს დამატებით სტიმულს მისცემს,“ – აღნიშნა მინისტრის მოადგილემ. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებებს ასევე ჩინეთის სხვა ქალაქებიდან ფრენების დაწყებასთან დაკავშირებით, რათა საქართველოში ჩამოსვლა უფრო მეტმა ჩინელმა ტურისტმა შეძლოს.

დღეის მდგომარეობით, საქართველოსა და ჩინეთს შორის რეგულარულ სამგზავრო რეისებს **China Southern Airlines**-ი ასრულებს. გასული წლიდან ავიაკომპანიამ ეტაპობრივად გაზარდა ოპერირების სიხშირე და ამჟამად ურუმჩი – თბილისი – ურუმჩის საჰაერო ხაზზე ფრენებს ყოველდღიურად ასრულებს. 2024 წლის 6 თვის მონაცემებით, ავიაკომპანია **China Southern Airlines**-მა საქართველოსა და ჩინეთს შორის 19,991 მგზავრი გადაიყვანა.

2023 წელს ჩინეთიდან საქართველოში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობამ 48,304 შეადგინა, რაც 2022 წელთან შედარებით 554.5%-იანი მატებაა. 2024 წლის ორი კვარტლის მონაცემებით კი ჩინეთიდან 32,853 ვიზიტი განხორციელდა. ზრდამ 2023 წელთან შედარებით 159.5% შეადგინა.

# განცხადება

**სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად:**

1. მანქანათა დინამიკის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი – ერთი სრული საშტატო ერთეული.

**კონკურსის პირობები:**

**მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს,** თუ იგი არის შესაბამისი დარგის სპეციალისტი, აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება და აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კონკურსანტს მოეთხოვება განყოფილებაში მიმდინარე სამეცნიერო თემატიკით გათვალისწინებული ერთ-ერთი პროექტის შესრულებაში აქტიური მონაწილეობა. მიღებული შედეგების ანალიზი და სამეცნიერო ანგარიშების შედგენა.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადსასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (**CV**);

დ) დოქტორის (მაგისტრის), ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ნუსხა, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს, კვლევის უნარს;

ზ) სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩამონათვალი, რომელთა დამუშავებაშიც იღებდა მონაწილეობას (ბოლო 5 წლის განმავლობაში);

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი;

ი) პატენტები, საავტორო მოწმობები, ლიცენზიები და მის სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტები;

კ) შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ რაფიელ დვალის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში მისამართზე: თბილისი, ე. მინდელის ქ.#10.

**საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2024 წლის 23 აგვისტო.**

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ – ნინო დიდიშვილს ტ.: 599 141 468, 2 329017

# განცხადება

## საჯარო განხილვის შესახებ

სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა - **ქ. თბილისში, შპს „ეისიი მეტალსის“ მიერ სამგორის რაიონის გამგეობის ტერიტორიაზე საგლინავი საამქროს ექსპლუატაციის პროექტი**

**გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.**

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 1 აგვისტო, 12:00 საათი, სამგორის რაიონის გამგეობის შენობა (მის.: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N 14)**

საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, გაუგზავნოთ **სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2024 წლის 7 აგვისტოს ჩათვლით მისამართზე:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ განათლების ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელ-ფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

**განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 10 ივლისი.** განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 26-ე და არაუგვიანეს 30-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს დასკვნას.

# განმუხურში, მდინარეში 15 წლის მოზარდს ეძებენ



განმუხურში, მდინარე ენგურისა და ჯუმის შესართავთან 15 წლის მოზარდს ეძებენ.

არსებული ინფორმაციით, მოზარდი ანაკლიაში სტუმრად იმყოფებოდა და თანატოლებთან ერთად საბანაოდ წავიდა.

მდინარის ნაპირზე ნაპოვნია მოზარდის ტანსაცმელიც.

ადგილზე იმყოფებიან სამართალდამცველები.

# დათო მაღრაძე მომავალს წარსულში არ დაემალება!




**დათო მაღრაძის ახალი პოეტური კრებული „ობიანი ყველი“ უკვე წიგნის მაღაზიებშია. როგორც ავტორი წერს, ეს წიგნი - თხუთმეტი ლექსისგან შემდგარი, კიდევ ერთს მთხოვდაო და... ამდენად, თქვენ წინაშეა ლექსების ციკლი „თხუთმეტნახევარი“.**

კრებულში თავმოყრილი ლექსები თანამედროვე მოვლენების ერთგვარი გამოხმაურება, შეფასება და მომავლის ფართო პრიზმაში დანახვის მცდელობაა. „მომავალს წარსულში არ დავემალები“ - ასეთია პოეტის განაცხადი და რადგან შელამაზებული სიმართლე სიმართლე აღარ არის, პოეტი ცდილობს, დრამატიზმთან შერწყმული სარკაზმ-იუმორით ის უფრო სარწმუნო, საინტერესო და დასაფიქრებლად ღირებული გახადოს... ეს კი საძნელო და საფრთხილო საქმეა, „თავის მოძიებაც“ არ არის ხუმრობა, არც „ახალ იარაზე“ წერა და უბრალო სიტყვების ლექსებად გადაქცევაა ადვილი.

და მაინც, შეიძლება ითქვას, რომ ამ „თხუთმეტნახევარი“ ლექსით პოეტის „განზრახვა“ „ჰაერში არ დარჩენილა“ და ეგებ ის მკითხველისთვის ერთგვარი „სულის მოთქმა“ აღმოჩნდეს. წიგნის შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ მაღაზიებში.

# მამარდაშვილი ყველაზე, ყველაზე, ყველაზე... ძვირადღირებული მეკარეა!



**საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე გიორგი მამარდაშვილი მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული მეკარე გახდა.**

განახლებული შეფასება transfermarkt-მა გამოაქვეყნა.

ევროპის ჩემპიონატამდე, მამარდაშვილის პირობითი სატრანსფერო ღირებულება 35 მილიონი იყო და ამ მაჩვენებლით ის მსოფლიოს საუკეთესო მეკარეებს შორის იყო.

ევრო 2024-ის შემდეგ, Transfermarkt-მა ქართველი მეკარის შეფასება 45 მილიონ ევრომდე გაზარდა.

# ტაილანდმა საქართველოს მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლა აამოქმედა

**2024 წლის 15 ივლისიდან 93 ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მოქალაქეები ტაილანდში უვიზოდ, 60 დღის განმავლობაში დარჩებიან.**

სავიზო პოლიტიკაში ცვლილებების შესახებ ტაილანდმა მიმდინარე წლის მაისში განაცხადა.

სავიზო პოლიტიკის განახლების მიზნად სახელდება ეკონომიკის გაძლიერება.

**ძვირფასო მკითხველო!**

გთავაზობთ ტენდერების, აუქციონების, ვაკანსიების, რეკლამების, საიუბილეო და სამგლოვიარო განცხადებების განთავსებას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“

განცხადების ტექსტი შეგიძლიათ გადმოაგზავნოთ, შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:

sak@sak.ge rkobulia29@gmail.com ან მოგვიტანოთ რედაქციაში:

თბილისი, აკ. წერეთლის 116, „დიდუბე პლაზას“ შენობა, IV სართ. ოფისი №448, ტელ; 577-772717, 59360035




# ზურაბ იარაჯულის უკვდავსაყოფად

**თბილისში, ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე საქართველოს ეროვნული გმირის ზურაბ იარაჯულის მემორიალური დაფა გაიხსნა.**

ადგილობრივი მცხოვრებლების ინიციატივით, დაფა სწორედ იმ კორპუსზე დამაგრდა, სადაც ეროვნული გმირი ცხოვრობდა.

„ჩვენმა სამეგობრომ გადავწყვიტეთ, ამ კორპუსში, სადაც ცხოვრობდა ზურაბ იარაჯული, გაგვეკეთებინა მემორიალური დაფა. გუშინ მისი გარდაცვალებიდან 31 წელი გავიდა და სწორედ ამ თარიღს, სიმბოლურად დავამთხვიეთ და გავაკეთეთ მემორიალური დაფა. კორპუსის მცხოვრებლებიც ჩაერთნენ ამ საქმეში ფინანსურად“, – განაცხადა „კვირასთან“ საუბარში იდეის ერთ-ერთმა ავტორმა ლაშა ნოზაძემ.

ზურაბ იარაჯული, ქართველი სამხედრო მფრინავი, საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალების უფროსი ლეიტენანტი, საქართველოს ეროვნული გმირი აფხაზეთის ომში დაიღუპა 1993 წელს.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს განახორციელა ოცზე მეტი საბრძოლო გაფრენა. 1993 წლის 13 ივლისს მონაწილეობდა სოხუმის მისადგომებთან სოფ. შრომის დაცვაში. ამ დღეს კოპიტნარის აეროდრომიდან განახორციელა 2 საბრძოლო გაფრენა. მოწინააღმდეგის კოლონაზე შეტევის დროს მისი სუ-25 მოიერიშე ჩამოაგდეს. იარაჯულმა მოახერხა კატაპულტირება, თუმცა ფრონტის ხაზს მიღმა აღმოჩნდა. დაიღუპა გუმისთის ტყეში მდევართან შეტაკების დროს მას შემდეგ, რაც უარი განაცხადა დანებებაზე.

# ირაკლი სუთიძის გამოფენა

**„ის 70“ – ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმში ირაკლი სუთიძის გამოფენა გაიმართება.**

გამოფენა „ის 70“ წარმოადგენს ირაკლი სუთიძის საიუბილეო და რეტროსპექტულ თხრობას. ექსპოზიცია ეძღვნება მხატვრის 70-ე დაბადების დღეს, რომელსაც ის ვეღარ მოესწრო.

ირაკლი სუთიძე 2024 წლის 19 აპრილს გარდაიცვალა. მას 70 წელი შეუსრულდებოდა.

„გამოფენის მიზანია, ახლებურად წავიკითხოთ და აღვიქვათ მხატვრის შემოქმედება თუ მისი მნიშვნელობა ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიაში. ინიციალი „ის“, სუთიძის ფერწერული ტილოების განუყოფელი ნაწილია, თუმცა ამ შემთხვევაში სიტყვამ სიმბოლური დატვირთვა შეიძინა და მხატვრის პიროვნული განზოგადება მოახდინა. ინიციალის და პირის ნაცვალსახელის თანხვედრით „ის“ თითქოს გარდაიქმნა უნივერსალურ მოვლენად. ამ კონცეპტუალურმა მიგნებამ შექმნა სუთიძის მოკრძალებული და თვითმყოფადი პორტრეტი.




გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის გრაფიკულ-ფერწერული ნამუშევრები ირაკლი სუთიძის ოჯახის, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის თუ კერძო კოლექციებიდან. ეს ქვეთავები გაერთიანებულია თემატური, ქრონოლოგიური და სტილური ნიშნებით. საგამოფენო ქსოვილში ასევე მნიშვნელოვანია მხატვრის ყოველდღიური და განუყოფელი ნივთები, რაც განაპირობებდა სუთიძის სამყაროს, გაცოცხლდება. კიდობანი, მხატვრის ხელით ნაკეთი უნაგირები, წერილები, ფოტომასალა და სხვა – სწორედ მისი პირადი ნივთებით გახდება ხელშესახები ირაკლი სუთიძის ანტურაჟი, რომელშიც ის ცხოვრობდა.

ირაკლი სუთიძე მიეკუთვნება 1980-იანელთა თაობას და ამ თაობის წარმომადგენელ მხატვართა მსგავსად, იგი პოეტურად უკუაგდებს ქართულ რეალობას, ურბანულ და სოციალურ ყოფით სცენებს. ხელოვანი რამდენადმე იკარგება და ჩერდება დროში, სადაც ფრაგმენტულად და განზოგადებულად ცდილობს მსოფლიო კულტურული კოდების, გმირების, სიმბოლოების გადააზრებას. ირაკლი სუთიძის მხატვრული სამყაროს უნიკალურობა მისი ფერწერის სხივოსნობაშია, რომელსაც მხატვარი ზეთის საღებავის გამჭვირვალე ფენების ურთიერთქმედებით და მის მიერვე გამოგონილი ფერთა სინათლით, ასევე უნიკალური ტექნიკით აღწევს“, – ნათქვამია მუზეუმის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**
დამკაბადონებელი
**გიორგი მახარაშვილი.**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.
**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.**
**საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე,**
აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.6975; ევრო - 2.9492;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5151;
100 რუბლი - 3.0579; თურქული ლირა - 0.0815;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5864;
1000 სომხური დრამი - 6.9523.

**ამინდი 19 ივლისისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +19, | დღე +36 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +13, | დღე +33 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +21, | დღე +37 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +17, | დღე +35 |
| თბილისი: | ღამე | +23, | დღე +34 |

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 22 ივლისს**